იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის 50-12 წელი

№ 17-18 (202)

სექტემბერი,


1968 წელი



ნიკოლოზ ბარათაშვილი.

მხატვარი ლ. გუდიაშვილი.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა



... უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერ ვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?

ნ. ბარათაშვილი

1968 წლის სექტემბერში ქართველმა ხალხმა მთელი მსოფლიო მწერლობის მოწინავე წარმომადგენლებთან ერთად იუბილე დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავი

უკვდავება

გრიგოლ აბაშიძე

ცივილიზებული მსოფლიოს ერთ-ერთმა უძველესმა ერმა — ქართველმა ერმა თავისი არსებობის გრძელ მანძილზე მრავალი ღირებულება შექმნა.

ამ ღირებულებათაგან ბევრი რამ სამუდამოდ დაიღუპა, ბევრი არქეოლოგიისა და მუზეუმების კუთვნილებად შემოგვრჩა, ხოლო მნიშვნელოვანმა ნაწილმა ჩვენამდე უკვდავების ცეცლი, მარადიული სუნთქვით მოაღწია. დროის დინებისაგან დამოუკიდებლად მფეთქავი ეს ძარღვი ეროვნული სულის მარადიული ცხოვრებისა იყო და არის ქართული პოეზიისა და მუსიკის, არქიტექტურისა და მხატვრობის თვითმყოფადი საუნჯე, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში შეჰქონდა ჩვენს ხალხს მსოფლიოს კულტურის საგანძურში.

ჩვენს დრომდე მოღწეული ქართული მხატვრული ლიტერატურის ყველაზე ადრინდელი ძეგლი მეხუთე საუკუნით თარიღდება. იმ პირველი რომანიდან მოკიდებული ქართული მწერლობა 15 საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა, ამ ხნის მანძილზე იგი ჭირსა და ლხინში გვერდით ედგა თავის შემოქმედ ხალხს და მისი სულიერი მხნეობისა და სილამაზის საუკეთესო გამომხატველად გვევლინებოდა.

გრძელი, თხუთმეტსაუკუნოვანი გზა ქართული მწერლობისა კავკასიის მთის უწყვეტ გრუხილს მოგვაგონებს.

მარადიული თოვლით დაფარულ ამ მთაგრეხილს რუსთაველის პოეზიის უქრობი მზე ანათებს.

რუსთაველის პოეზიის ამ ბრწყინვალებას კიდევ უფრო აძლიერებს შედარებით ნაკლები სიდიდის, მაგრამ თავისებური გამონათებისა და შუქისმფენი მნათობების მთელი კრება, რომელთა არსებობა გარდუვალად გულისხმობს და ამართლებს რუსთაველის მოვლენის ადგილსა და აუცილებლობას.

პოეზიის ამ მზის სისტემაში ბარათაშვილი არის ის ულამაზესი ვარსკვლავი, რომელიც ცის უსაზღვროებისაკენ გვეძახის იდუმალებით აღსავსე შუქით და რომელიც იმითაც გამოირჩევა, რომ განუყრელად თანასდევს საავდროდ მოჯარებული ღრუბლების გროვა.

ბარათაშვილის პოეზია ის პოეზიაა, რომელიც არასოდეს არ გახდება მარტოოდენ ისტორიის საკუთრება. იგი დღეს-დე იყო პოეტის მომდევნო ყველა თაობის თანამგზავრი და მომავლის ყველა თაობისათვისაც ასეთივე ახლობელი დარჩება.

ბარათაშვილი ადამიანის სულის მარადიულ ტკივილებს ისე მძაფრად შეეხო, ისე მწვავედ აშალა ეს ტკივილები და ისე ღრმად განგვაცდევინა, რომ მათ ჩვენ თითქმის ფიზიკურად ვგრძნობთ.

ბარათაშვილის სასოწარკვეთილი სულის კივილი ვერ ეტევა რომელიმე ეპოქის საზღვრებში, იგი ყველა დროში პოულობს გამოხმაურებას და მისი მერნის ფლოქვებისაგან დაკვესებული ცეცხლის ნაპერწკლები დიდხანს, კიდევ დიდხანს გაუნათებს გზას ახლის მაძიებელ ბევრ მოგზაურს.

ჩვენ სულ ახლო მოგვესმის ბედდაწყევლილი ჭაბუკის გულისშემძვრელი კვნესა, დანაღვლიანებული მივყვებით მისი მერნის ნაკვალევს, რათა წუთით შევიდეთ იმ სულის შემხუთველ სამყაროში, რომელშიაც იგი ცხოვრობდა და ეწვამა, უფრო დიდხანს დავრჩეთ იმ უმშვენიერეს სამყაროში, რომელსაც იგი თავისი შემოქმედებით ქმნიდა, და ერთხელ კიდევ მოწიწებით ვემთხვიოთ მისი უკვდავი სულის ჭრილობებს.

• • •

შორს, დასავლეთში მოგუგუნე არტილერიის ექო მისწყდა. ძირს დამხობილი იმპერატორი, ევროპას რომ მოსვენებას არ აძლევდა, ჩუმად, უხმაუროდ მიიცვალა ოკეანეში. ჩაკარგულ წმინდა ელენეს წყნარ კუნძულზე. ევროპაში ახალი ერა დგებოდა, ერა ხალხთა ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური განახლებისათვის ბრძოლისა.

დეკაბრისტების შეთქმულება რუსეთში, მთელ ევროპაში გადავლილ აჯანყებათა ბობოქარი ტალღა, ახლად ჩასახული მუშათა კლასის პირველი გაუბედავი გამოსვლები ღრმა კვალს ტოვებდნენ მოაზროვნე კაცობრიობის საუკეთესო ნაწილზე. პოეზია თავისი მოწოდების ადგილს უბრუნდებოდა და ცეცხლის ხაზზე დგებოდა.

ზარბაზნები დუმდნენ, მაგრამ მუზები ალაპარაკდნენ ისეთ ხმამაღლა, როგორც არასოდეს: ბაირონი და შელი, გოეთე და შილერი, პუშკინი და ლერმონტოვი, მიცკევიჩი და პეტეფი და კიდევ ბევრი სხვა პირველხარისხოვანი პოეტი წინასწარმეტყველურად იუწყებოდნენ კაცობრიობის სულიერი განახლების მოახლოებას, უსამართლობაზე დამყარებული ცხოვრების საფუძვლების შერყევას, ბოროტების დამარცხების, სიკეთისა და პროგრესის ზეიმის გარდუვალობას.

ხალხებისა და ადამიანების ბედის ერთიმეორეში უჩვეულო გადახლართვის შედეგად შორეული საქართველო სრულიად მოულოდნელად იქცა ამ ახალი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის ასპარეზად, ახალი მოწინავე იდეების გავრცელებისა და შეხვედრების ადგილად.

მე-19 საუკუნის დასაწყისი საქართველოსათვის ახალი ეპოქის დასაწყისს მოასწავებდა. რუსეთთან შეერთება თითქმის ფიზიკურ განადგურებამდე მისულ საქართველოს მშვიდობიან ცხოვრებას უმკვიდრებდა. ირანისა და თურქეთის გამუდმებული შემოსევებით სისხლისაგან დაცლილი ქვეყანა ნელნელა წელში იმართებოდა. მაგრამ რუსეთის მმართველობის დამყარება უმტკივნეულოდ როდი ხდებოდა. იგი იმათ გაფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა, ვინც ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას, საქართველოს სამეფოს რუსეთის განაპირა პროვინციად გადაქცევას ვერ ურიგდებოდა.

აჯანყების ცეცხლი საქართველოს ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში გიზგიზებდა, მაგრამ ცალკე კუთხეების ერთმანეთთან შეუთანხმებელ, მეტწილად სტიქიურად დაწყებულ ამ ბოსტებს რუსეთის თვითმპყრობელობა ადვილად უმკლავდებოდა და სასტიკად ახშობდა.

ამ დროისათვის კავკასია საერთოდ და კერძოდ საქართველო მეორე ციმბირად იქცა, სადაც ცარიზმი მეფის მთავრობით უკმაყოფილო, ყველა საეჭვოდ მოაზროვნე ადამიანს ასახლებდა; საქართველოში აღმოჩნდნენ არა მარტო გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, და სიკვდილს გადარჩენილი დეკაბრისტთა ერთი ნაწილი, არამედ პოლონელ მეამბოხეთა მნიშვნელოვანი ჯგუფიც.

ახალ მოწინავე იდეებს ნაზიარები ქართული ინტელიგენცია გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. დღის წესრიგში დგებოდა 1832 წლის შეთქმულების განხორციელება. შეთქმულებაში აქტიურად მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი პოეტები ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, ახალი ქართული თეატრისა და დრამატურგიის ფუძემდებელი გიორგი ერისთავი; შეთქმულების სული და გული იყო რადიკალურად მოაზროვნე ფილოსოფოსი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელი სოლომონ

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

*) მოხსენება, წაკითხული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 1968 წლის 11 სექტემბერს.



1968 წლის 11 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა,** მიძღვნილი დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის **ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების** 150 წლისთავისადმი.

სურათზე: საზეიმო სხდომის დარბაზში.

დიდება მგოსნისა

პავლე ინგოროყვა

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი, დიდი ტრადიციების მჭონე ლიტერატურის ისტორიაში ნიკოლოზ ბარათაშვილს საპატიო ადგილი უჭირავს, განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა ქართველი ერის გონებრივ სამკვიდრებელში შევიდა როგორც უძვირფასესი განძი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ფუძემდებელია ახალი ქართული ლიტერატურისა, რომელმაც XIX საუკუნეში განახლება განიცადა.

ამის წინარე ხანაში, XVIII-XIX საუკუნეთა საზღვარზე, ეპოქალური ცვლილება მოხდა ქართველი ერის პოლიტიკურ ისტორიაში. ამასთან ერთად, XIX საუკუნის მიჯნასთან დასრულდა აგრეთვე განვითარების ციკლი ძველი ქართული მწერლობისა, რომელიც ორგანული ნაყოფი იყო სხვა საზოგადოებრივი გარემოსი.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ახალ ისტორიულ ვითარებაში თანდათანობით ისახება და გზას იკვლევს ახალი ეპოქის შესაბამისი ახალი ქართული ლიტერატურა.

პირველი დიდი ქართველი მწერალი XIX საუკუნისა, რომელიც მტკიცედ ამკვიდრებს ახალ ერას ქართულ ლიტერატურაში, არის ნიკოლოზ ბარათაშვილი. ნიკოლოზ ბარათაშვილმა ახალი გზები გაუხსნა ქართულ მწერლობას, გაამდიდრა იგი ახალი იდეებით, მისცა ახალ ქართულ პოეზიას ფართო დიაპაზონი, აიყვანა იგი თანამედროვე ევროპული პოეზიის სიმაღლემდე. ბარათაშვილის პოეზიის საგანია ადამიანის სულიერი ცხოვრება მთელი თავისი სიღრმითა და მღელვარებით.

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ — რუსთაველის შემდეგ ეს სიტყვები ბარათაშვილის შესახებაც უნდა გავიმეოროთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა წარუვალი მნიშვნელობა დაიმკვიდრა პოეზიაში თავისი ლირიკით, რომელსაც დიდი, ზოგადკაცობრიული დიაპაზონი აქვს, ღრმა ფილოსოფიურობით არის აღბეჭდილი.

სამართლიანად ამბობს ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის დიადი როლის შესახებ ახალი ქართული მწერლობის ისტორიაში: „ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკა აღბეჭდილია დიადი ჰუმანიზმით. ამავე დროს ბარათაშვილის ლირიკა უაღრესად ეროვნულია თავისი პოეტური სახეობით.

ხოლო ბარათაშვილის დიადი ღვაწლი ქართული მწერლობის ისტორიაში არ განისაზღვრება მარტოოდენ მისი ლირიკით. წმინდა ლირიკა მხოლოდ ერთი ნაწილია ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობისა.

ამის გვერდით ბარათაშვილს სხვა მემკვიდრეობაც აქვს — „ბედი ქართლისა“ და პოემასთან თავისი სულით დაკავშირებული მისი „მერანი“. პოემაში „ბედი ქართლისა“ ბარათაშვილი გვევლინება როგორც ერის წინამძღვარი, როგორც ახალი საქართველოს პოლიტიკური აზრის გამომსახველი, მოაზროვნე „ახალი ქართლის“ ბედსა და მის მომავალზე.

ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ — ეს უდიადესი ქმნილება ახალი ქართული პოეზიისა, ასევე ჰეშმარიტი გენიალობით აღბეჭდილი მისი „მერანი“ პროტესტანტული სულისკვეთებით არის შთაგონებული.

„ბედი ქართლისა“ დიდის სიბრძნით, ერის მომავლის საკითხთა ყოველმხრივი განსჯის სიღრმით არის აღბეჭდილი... XIX საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია აქ პოულობს თავის დასაყრდენს, აქედან გამოდის, იზრდება, მიემართება ახალი იდეალებისაკენ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრენი ქართულ ლიტერატურაში არიან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომლებმაც განაგრძეს მისი საქმე, რომლებმაც შეასრულეს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ დაწყებული დიადი საქმე ქართული მწერლობის განახლებისა.

საუკუნის დასასრულს მათ ხმას შეუერთებს ვაჟა-ფშაველა. „შენი მერანი კვალად რბის“, — ამ სიტყვებით მიმართავს ვაჟა ნიკოლოზ ბარათაშვილს.

ახეთი იყო დიდი ქართული მწერლობის განვითარების მაგისტრალი მეცხრამეტე საუკუნეში, მწერლობისა, რომელსაც ახალ ისტორიულ ვითარებაში ერის ხელმძღვანელობა ეკისრა.

ჩვენ დღეს ვიგონებთ მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედს — ნიკოლოზ ბარათაშვილს.

ჰეშმარიტად, ნიკოლოზ ბარათაშვილი თვით იყო ის თავგანწირული მხედარი, რომელიც დაგვიხატა მან თავის „მერანში“, რომელიც შეებრძოლა თვით ბედისწერას, გადაჰკვეთა ბედის საზღვარი, რათა მომძეთა მისთა სიძნელე გზისა გაუადვილდეს.

ასეთია ღვაწლი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ახალი ქართული ლიტერატურის დიდი ფუძემდებლისა, რომელიც ერის მესაიდუმლე, ერის ზრახვათა გამომსახველი იყო.

აქ ჩვენ შევჩერდებით პოეტის ბიოგრაფიის ზოგიერთ ფაქტზე, რომლებსაც ახლო კავშირი აქვს პოეტის შემოქმედების ისტორიასთან.

1837 წელს ბარათაშვილი შეხვდა მეფე-ტირანს, იმპერატორ ნიკოლოზ I-ს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ დროს 19 წლისა იყო, მეოცე წელში გადამდგარი. ბარათაშვილი ადრე მომწიფდა როგორც პოეტი. 1837 წლისათვის ბარათაშვილი არის ავტორი ბრწყინვალე

(გაგრძელება მე-5 გვერდზე).

*) მოხსენება, წაკითხული სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობათა გაერთიანებულ საიუბილეო პლენუმზე 1968 წლის 10 სექტემბერს.

ბარათაშვილის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

უკვდავება

(გაგრძელება)

დოდაშვილი. შეთქმულებას გამარჯვება არ ეწერა, რუსეთის თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგე ქართველთა უკანასკნელი გაბრძოლება მარცხით დამთავრდა და მეფის მთავრობა შეთქმულებს სასტიკად გაუსწორდა.

ასეთ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა მეცხრამეტე საუკუნის უდიდეს ქართველ პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს. იგი 1845 წელს გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. მისი სიცოცხლე ისევე დღემოკლე აღმოჩნდა, როგორც ზოგიერთი მისი გენიალური თანამედროვის — შელისა და კიტსის, ლერმონტოვისა და პეტეფის.

ამ პოეტთაგან ბარათაშვილი მხოლოდ ლერმონტოვს იცნობდა და საფიქრებელია პირადი შეხვედრაც ჰქონდა მასთან. ლერმონტოვის სტრიქონები ქართველ პოეტს პირად წერილებში მოჰყვადა თავისი საკუთარი სულიერი განწყობილების საილუსტრაციოდ, როცა ადრესატს მარტოობისა და უიმედობის განცდაზე ესაუბრებოდა.

მცირე დროის განმავლობაში ბარათაშვილმა ცოტა მოასწრო: მისი პოეტური მემკვიდრეობა სულ 37 ლექსსა და ერთ პოემას შეიცავს. ოჯახური პირობები და საზოგადოებრივი გარემოცვა პოეტს საშუალებას არ აძლევდა თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები მუზების სამსახურისათვის მიეძღვნა. მაგრამ ის პატარა წიგნი, რომელიც მან შთამომავლობას დაუტოვა, ქართული პოეზიის მშვენებად დარჩა სამუდამოდ.

ცხოვრებაში პოეტი უბედური იყო. არცერთ მის ნატვრასა და ოცნებას, არც საზოგადოებრივსა და არც პირადს, განხორციელება არ ეწერა.

ფიზიკური ნაკლის გამო (ბარათაშვილი ცალი ფეხით დაკოჭლდა სკოლის ასაკში) იძულებული იყო გამოთხოვებოდა მაშინდელი ახალგაზრდობისათვის ყველაზე სანუკვარს — სამხედრო კარიერაზე ოცნებას. იმის გამო, რომ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას განიცდიდა მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომლის ერთადერთი მარჩენალი თვითონ იყო, პოეტმა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების განზრახვაზეც ხელი აიღო.

სიყვარულში უიღბლოსა და საზოგადოებაზე გულგატეხილ ჭაბუკს ცხოვრებამ ფრთები ადრე შეაკვეცა. პოეტი იძულებული იყო თავის მწარე ბედს შეგუებოდა და კანცელარიის პატარა მოხელის ხვედრს შერიგებოდა.

თუ ზღვებისა და ხახვეარი ხმელეთის მბრძანებელი იმპერიის შვილს, მსოფლიოს მოწინავე ადამიანების ყურადღებითა და ულამაზესი ქალების თანაგრძნობით განებივრებულ ბაირონს ჰქონდა უიმედობისა და პესიმიზმის საფუძველი, მით უფრო ბუნებრივი უნდა ყოფილიყო სევდა და სასოწარკვეთა ჩაგრული ერის შვილისა, რომლის ყველა ოცნება ჩანასახშივე იმსხვრეოდა და რომელიც არა მარტო სიყვარულსა და მეგობრობაში იყო სულით ობოლი, არამედ, საერთოდ, უბედურ გარსკვლავზე დაბადებული აღმოჩნდა.

ლორდ ბაირონს ადამიანის უმაღლესი ღირსების — თავისუფლების გამოსაქომაგებლად აფრის აშვება და შორეული ზღვების გადალახვა დასჭირდა, რათა ბერძენ მეამბოხეთა სამართლიან ბრძოლაში დაედო თავი და ამით მთელი მოწინავე კაცობრიობის აღტაცება დაემსახურებინა; პოლონეთისა და უნგრეთის უდიდესი პოეტების — მიცკევიჩისა და პეტეფისათვის ისევე, როგორც ჩვენი ბარათაშვილისათვის, აჯანყების ცეცხლი საკუთარ სამშობლოში ენთო და ამ ცეცხლის წმინდა სამსხვერპლოზე მათ სიხარულით მიჰქონდათ არა მარტო თავიანთი შესანიშნავი შემოქმედება და ღვაწლი, არამედ თავიანთი ლამაზი სიცოცხლეც.

ბარათაშვილს აქაც არ გაუღიმა ბედმა: მაშინ, როცა თავისუფლებისათვის მებრძოლი პოლონეთის მეფეროშის — მიცკევიჩის მრისხანე პროტესტის ხმა მთელ მსოფლიოს ესმოდა, ხოლო უნგრეთის დამპყრობთა ხიშტზე წამოგებულ პეტეფის მოწამებრივად დანთხეულმა სისხლმა მთელი ევროპა შეძრა და აღაშფოთა, ბარათაშვილის პროტესტის ხმა პოეტის სიცოცხლეში მეგობართა და ახლობელთა ვიწრო წრეს არ გასცდენია, ხოლო სამშობლოს მგრებთან ბრძოლაში ნაოცნებარი სიკვდილის ნაცვლად ჩვენს მგოსანს დამცინავმა ბედმა მიყრუებულ განჯაში უფერული, ჩუმი სიკვდილი განუმზადა.

ცარიზმთან უთანასწორო ბრძოლაში მიგზავნილი მკვლელების ტყვიით დაეცნენ განახლებისა და თავისუფლების მომღერალი უდიდესი პოეტები — პუშკინი და ლერმონტოვი.

თუ გულგრილ იმპერატორს წარბის შეუტოკებლად შეეძლო მოესმინა რუსი ხალხის გენიალური პოეტის მკვლელობის ამბავი, მით უფრო აუღელვებლად შეხვდებოდნენ განჯაში გაგდებული ბარათაშვილის სიკვდილის ცნობას კავკასიის მმართველი მეფის სატრაპები, რომლებისთვისაც ქართული მწერლობა და კულტურა საერთოდ არც არსებობდა და რომელთაც თბილისიდან ჩვენი პოეტის ფაქტიური გადასახლებით ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა თავისუფლად მოაზროვნე, ქართველი ხალხის გამოფხიზლებისა და მისი საუკეთესო იდეალების მღაღადებელი პოეტი სამუდამოდ დაედუმებინათ.

ამ მხრივაც ბარათაშვილის ბედი ლერმონტოვისას ჰგავს. ისინი ორივენი სიჭაბუკეში დაიღუპნენ. არცერთ მათგანს არ დასცალდა დიდი ნიჭის ბოლომდე, მთელი ძალით გაშლა და გაფურჩქნა. ორივენი მათთვის საძულველი თვითმპყრობელობის მსხვერპლნი გახდნენ და მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ მკვლელობის რა ფორმას ირჩევდნენ მეფის ჯალათები.

ძნელი იყო ხვედრი ბარათაშვილისა. ცხოვრების ტვირთისაგან ადრე სიჭაბუკეშივე წელგაღუნული პოეტი ერთი შეხედვით თითქოს შეურიგდა მწარე ბედს და ყოველდღიურობის მოსაწყენ წვრილმანებში ჩაიძირა. მაგრამ არა! შინაგანი ხმა პოეტს ისევ და ისევ დიდი შემართებისკენ ეძახდა და მოუწოდებდა. მას სწამდა, რომ დაბადებული იყო წმინდისა და ამაღლებულის სამსახურისათვის, გრძნობდა, რომ მძლავრი ფრთები ჰქონდა და ყველაზე მაღლა ფრენა შეეძლო, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ მძიმე ტვირთი ფრთების გაშლის საშუალებას არ მისცემდა და საოცნებო კამარას ვერასოდეს ვერ შეჰკრავდა.

ბარათაშვილის ლექსებისა და მცირერიცხოვანი პირადი წერილების მიხედვით შეგვიძლია აღვადგინოთ ერთერთი უაღრესად ტრაგიკული ისტორია ადამიანის სულისა.

საზოგადოებაში გარეგნულად იგი უზრუნველსა და უდარდელ კაცს გავდა: გამკილავი ენა ჰქონდა და დარდიმანდ ტოლებში დროსტარების სული და გული იყო.

ვაგლახ! ეს ყველაფერი მხოლოდ ნიღაბი იყო, რომლის იქითაც პოეტის განწირულება და სასოწარკვეთა იმალებოდა.

მაგრამ მგოსანს ქვეყნად ჰქონდა ერთი თავშესაფარი, სადაც მას თავისი სულის გადმოშლა და შინაგანი ხმის მოყოლა შეეძლო. ეს თავშესაფარი პოეზია იყო. აქ იგი გარემომცველ ცრუ და გაუტანელ სამყაროს ეთიშებოდა და მასზე მაღლა დგებოდა — შთაგონების მძლავრი ფრთები მას იტაცებდნენ და მიაფრენდნენ ოცნებისა, სიყვარულისა და ადამიანური სიკეთის უმშვენიერეს სამყაროში. იგი ბუნებას უბრუნდებოდა და უერთდებოდა, როგორც მთელს ერთვის ოდესღაც მისგანვე მოწყვეტილი ნაწილი. ბუნება თავის მხრივ ღებულობდა მას, რადგანაც პოეტის რწმენით ბუნებას აქვს საიდუმლო ენა, რომელიც კაცთაგან მხოლოდ წმინდა, ამაღლებული სულის პატრონებს ესმით.

პოეტს თავისი თანამედროვე დასავლეთის რომანტიკოსების მსგავსად განმარტოებული სასაფლაოს იდუმალი მყუდროება იტაცებს, სადაც ქარის კვნესა და ფოთლის შრიალი მას ბუნებისა და ადამიანის შესატყვისობასა და განწყობილებათა შესაბამისობაზე ესაუბრებიან.

იგი მიილტვის რომანტიული ლურჯი ფერისაკენ, ცის ფერისაკენ, რომელიც სიყრმიდანვე პოეტისათვის არა ამქვეყნიური საწყისის, მიუწვდომელი სიმაღლისა და სილამაზის სიმბოლო იყო და რომელთანაც შედნობა და შეერთება თავის სანეტარო ოცნებად აქვს დასახული. ბარათაშვილი ცის იქით, „ზენაარ სამყოფში“ ეძებს თავისი მწუხარე სულის სადგურს, რათა ამქვეყნიურ ამაოებას გაშორდეს, მაგრამ იგი გრძნობს, რომ მისი ეს სურვილი განუხორციელებელია, რადგან ის შორეული სამყარო მიუწვდომელია „გლახ მოკვდავთათვის“.

ტრფიალება, სიყვარული ბარათაშვილისა ასეთივე წმინდაა და ამაღლებული.

მისი ტრფობის ობიექტთაგან ჩვენთვის მხოლოდ ერთი — პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის უმშვენიერესი ასულია ცნობილი. ეკატერინე ჭავჭავაძის ასულს მიუძღვნა ბარათაშვილმა თავისი საუკეთესო ლექსები.

მშვენიერ ლექსებში პოეტი მომხიბვლელად გადმოგვცემს თავისი უსაზღვროდ შეყვარებული გულის უჩვეულო ფეთქვასა და დატყვევებული სულის უნატიფეს მოძრაობას. მგოსანს აღონებს ოცნების განუხორციელებლობის შეგნება, მაგრამ იგი **არ** გაურბის სატანჯველს და სიყვარულის სამსხვერპლოზე საამო წამებით სიკვდილს გარეულებული, მაგრამ იშვიათად ლამაზი მეტაფორით გადმოგვცემს:

შევიშრობ ცრემლსა ჭირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს ჩემსა სალოცველს!

ოცნების მიუწვდომლობის და ნატვრის განუხორციელებლობის შეგნებით გამოწვეული მწუხარება პოეტს აღუძრავს ფრივოლურ ნდომას, ერთგვარ შურს იმ ნიავის მიმართ, რომელიც მის სატრფოს მიუშლ-მოუშლის ლამაზ დადალებს და ამით, ალბათ, უსაზღვრო სიამოვნებას განიცდის, იმ უცხო საყურის მიმართ, რომლის ქვეშაც ვინმე სვებედნიერი თავის ბაგეს დაიტკბობს და ამით უკვდავების შარბათს შესვამს.

ბარათაშვილის ლირიკაში ყველაზე საინტერესო ადამიანის დანაშნულებისა და ცხოვრების აზრზე პოეტის ფილო-

(დასასრული მე-6-7 გვერდებზე).

ნიკოლოზ ბარათაშვილი

* * *

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!
გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა იცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაჭანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!
რაა, მოგშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,
ნუღა ვიხილავ მშობელთა და ჩემსა სატრფოს,
ტკბილმოუბარსა;
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!
კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მიეცი ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!
ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის
მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას
მამაყრის!
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი
ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!
დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!
ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუქროლდეს!
მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!



სურათზე: საქართველოს მწერალთა კავშირისა და სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი თბილისის საოპერო თეატრში 1968 წლის 10 სექტემბერს.

დიდება მგოსნისა

(გაგრძელება)

ლექსებისა, მათ შორის გენიალური ლექსისა „შემოღამება მთაწმინდაზედ“. 1837 წელს მან დაწერა განთქმული ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ რომელზეც ქვემოთ გვაქვს საუბარი.

ამ საჭიროა გავიხსენოთ, რომ სწორედ იმავე 1837 წელს მოკლეს პუშკინი (პუშკინი დაიღუპა 1837 წლის 27 იანვარს; ხოლო ნიკოლოზ I ჩამოვიდა საქართველოში რვა თვის შემდეგ, 1837 წლის ოქტომბერში). მთელი ვითარება პუშკინის მოკვლისა არ იყო ამ დროს ბოლომდე ნათელი, მაგრამ როგორც ამას აღნიშნავდა ლერმონტოვის ლექსი, ბოროტმოქმედების ჩრდილი მაღალ წრეებს, მეფე-ტირანის ახლო მდგომ გარემოცვას ადგა.

ნიკოლოზ I საქართველოში სტუმარი იყო საქართველოს მთავარმართებლისა და საქართველოს თავად-აზნაურობისა.

მამა პოეტისა მელიტონ ბარათაშვილი იყო მარშალი თბილისის თავად-აზნაურობისა და აღმოსავლეთ საქართველოს მარშლის პირველი მოადგილე. ამდენად მელიტონ ბარათაშვილი თავისი მდგომარეობით ერთ-ერთი მასპინძელთაგანი იყო ნიკოლოზ I-ისა. ამავე დროს მელიტონ ბარათაშვილი, როგორც რუსულის კარგი მცოდნე, იყო პირადი თარჯიმანი ნიკოლოზ I-ისა, ვიდრე იგი საქართველოში იმყოფებოდა.

პოეტი ნიკოლოზ I-ის საქართველოში ყოფნის დროს ახლო კონტაქტში იყო იმპერატორთან. წყაროებში დაცულია ცნობა, რომ იმპერატორმა პოეტი გამოარჩია იმდროინდელ ბრწყინვალე ახალგაზრდობაში და მასთან საუბარი ჰქონდა.

საკითხავია, ჰქონდა თუ არა გამოძახილი ბარათაშვილის პოეზიაში ამ ახლო ხანგრძლივ ურთიერთობას იმპერატორთან მისი საქართველოში ყოფნის დროს?

ჰქონდა. ამასთან ეს გამოძახილი მეტად მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველია.

სწორედ ამ დროს, იმპერატორის საქართველოში ყოფნის პერიოდში, 1837 წელს დაწერილია ბარათაშვილის განთქმული ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირზედ“.

ამ ლექსში დაპირისპირებულია ერეკლე — კეთილი მამა ერისა, და „ბოროტი მეფე“, მეფე-ტირანი ნიკოლოზ I. იმპერატორი ნიკოლოზ I, „ბოროტი მეფე“, რომელსაც ეწოდება „მეფე მებრძოლე“, „თვის დიდებისათვის სისხლთა აღმჩქეფე“, წარმოდგენილია როგორც ხალხთა და ქვეყანათა დამმონებელი, რომელიც შფოთავს და დრტვინავს და იტყვის: „როდის იქნება ის სამეფოცა ჩვენი იყოს“. პოეტი ამ ტირანს დამიწებას უსურვებს („და აღიძვრიან იმავე მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“).

როგორც ეს დადგენილია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ არის ერთგვარი პრელუდია პოემისა „ბედი ქართლისა“, რომელიც დაიწერა 1839 წელს. პოემაშიაც კვლავ ჩნდება აჩრდილი იმავე „ბოროტი მეფისა“, რომელიც არის „სისხლთა აღმჩქეფე“.

ასეთია ეს ეპიზოდი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების პირველი პერიოდიდან, როდესაც პოეტი პირისპირ შეხვდა მეფე-ტირანს.

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ბარათაშვილი თავიდანვე იყო და ბოლომდე დარჩა ტირანიის შეურიგებელი მოწინააღმდეგე.

ამან განაპირობა პოეტის ტრაგიკული ბედი. ამასთან დაკავშირებულია კერძოდ ბარათაშვილის ნაწერების მნიშვნელოვანი ნაწილის დაღუპვა.

აქ ჩვენ შევჩერდებით ამ მეორე ფაქტზე ბარათაშვილის შემოქმედების ისტორიიდან.

ბარათაშვილის შესახებ ისტორიულ-ლიტერატურული მასალების ყოველძრივმა შესწავლამ დაადასტურა, რომ დაკარგულია ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

როდის, რა ვითარებაში მოხდა ეს სავალალო ამბავი?

აქაც ჩვენს წინაშე აღიმართება შავი აჩრდილი ცარიზმისა.

როგორც ცნობილია, 1832 წელს საქართველოში დამარცხდა შეთქმულება, დიდი პროგრესული მოძრაობა, რომელიც იმავე იდეალებს ისახავდა მიზნად, რასაც დეკაბრისტების მოძრაობა რუსეთში და პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ამავე ხანის. 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ საქართველოდან გადაასახლეს ქართველ მოღვაწეთა მთელი დასი, ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელი ქართული მწერლობისა (ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ორბელიანი და სხვანი). ამის შემდეგ საქართველოში უმკაცრესი ცენზურული რეჟიმი დამყარდა. 30-იანი წლების მეორე ნახევარში და 40-იან წლებში საქართველოში თითქმის შეწყდა ქართული წიგნების ბეჭდვა. კერძოდ, შეწყდა არსებობა ქართული პრესისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოლომონ დოდაშვილი 1832 წლის შეთქმულების მეთაური, რომელიც ასევე გადაასახლეს. იგი გადასახლებაში დაღუპა კიდეც).

ამ ხანაში იწყებს მოღვაწეობას ნიკოლოზ ბარათაშვილი. ბარათაშვილის თხზულებანი ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდა და დიდი გამოხმაურება ჰპოვა თვით პოეტის სიცოცხლეშივე. ბარათაშვილის შემოქმედება ეპოქის სინათლის ნიშანსვეტი იყო.

ჩვენ დრომდე მოღწეულია ბარათაშვილის თხზულებათა კრებულები, გადაწერილი პოეტის მიერ სხვადასხვა დროს, 1841-1843 წლების მანძილზე. ეს იყო ხელნაწერი გამოცემები, რომელთა პირები გადმონაწერების სახით ვრცელდებოდა საზოგადოებაში. უკანასკნელი მათგანი დამზადებულია 1843 წლის დასასრულს. ხოლო ხელნაწერი კრებულები ბოლო პერიოდისა — 1844-1845 წლებისა არ შენახულა.

ჩვენ დრომდე შემთხვევით გადარჩენილა ბოლო პერიოდის, 1844-1845 წლების მხოლოდ რამდენიმე ლექსი. კერძოდ, 1844-1845 წლებში დაწერილი ლექსებიდან მოღწეულია მხოლოდ ორი, გამოგზავნილი ნახჭევნიდან 1845 წლის იანვარსა და თებერვალში (ერთი — უცნობი პირისათვის, მეორე — პოეტის მეგობრის მაიკო ორბელიანისათვის).

ეს არის და ეს, რაც შენახულა. სადღა არის დანარჩენი ლექსები 1844 და 1845 წლებისა? მთელი კვალი არა ჩანს. ამასთან ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს არის ხანა, როდესაც ბარათაშვილის პოეტურმა გენიამ ზენიტს მიაღწია, პეროდი „მერანისა“.

ხოლო, რაც მთავარია, საქმე მარტო ამით არ მთავრდება.

წყაროების შესწავლიდან ირკვევა, რომ დაკარგულია არა მხოლოდ დიდი ნაწილი ბოლო პერიოდის, 1844-1845 წლების ლექსებისა, არამედ დაკარგულია მთელი წყება ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებებისა, რომლებიც პოლიტიკური რადიკალიზმით იყო აღბეჭდილი და პოეტს არ შეჰქონდა თავის ნაწარმოებთა იმ კრებულებში, რომლებიც ფართო საზოგადოებაში გასავრცელებლად იყო დანიშნული. ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ ნაწარმოებებს გაცნობილი იყო პოეტის ახლო და სანდო მეგობართა წრე, ხელნაწერებად ვრცელდებოდა თანამოაზრეთა ვიწრო წრეში.

ჩვენ აქ შევჩერდებით ნიკოლოზ ბარათაშვილის არმოღწეულ თხზულებებზე, რომელთა შესახებ დაცულია პირდაპირი ცნობები წყაროებში.

პოემა „ივერიელნი“

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენ დრომდე არ მოღწეულა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ივერიელნი“, „ბედი ქართლისა“-ს ორეული.

მეტად მნიშვნელოვან ცნობას ნ. ბარათაშვილის პოემა „ივერიელნი“-ს

(დასასრული მე-9 გვერდზე).

ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა.

პოეზია მაღლია, ნიჭია, მაგრამ... იგი დიდი ტვირთიც არის, დიდ ტვირთადვე იცნო იგი ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და მას უველაფერი ანაცვალა.

ილია ჭავჭავაძე.

ქართული მიწის სტუმრები

დიდი ეროვნული პოეტის, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავმა — ქართული კულტურის ამ ნათელმა დღესასწაულმა ცხოველი გამოძახილი ჰპოვა საბჭოთა და უცხოეთის ქვეყნების პროგრესული საზოგადოების წრეებში, რადგან ბარათაშვილის მარად უჭკნობი პოეტური მემკვიდრეობა მიეკუთვნება მთელი ცივილიზებული კაცობრიობის სულიერ ღირებულებათა საგანძურს.

პოეტური სიტყვის დიდ ზეიმზე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდნენ გამოჩენილი საზღვარგარეთელი პოეტები, პროზაიკოსები, მთარგმნელები.

გულთბილად შეხვდა ქართველი ხალხი ფინელ პროზაიკოსსა და პოეტს არვო პაროს, საბჭოთა ლიტერატურის ცნობილ მთარგმნელს ალექსანდრე კამპოშს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), გამოჩენილ ბულგარებ პოეტს ლამარს, უნგრეთის მწერალთა კავშირის გენერალურ მდივანს, გამოჩენილ პროზაიკოსს იმრე დობოზის, უნგრელ ლიტერატორებს იმრე ჩანდისა და შუშე რაბს, ბარათაშვილის ლექსების მთარგმნელს გერმანულ ენაზე რაინერ პირშს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). ქართული კულტურის დიდ მეგობრებს რუმინელ მწერლებს ვიქტორ კერნბახსა და ჯიკა იუტეშს, პოლონელ პოეტს ლეოპოლდ ლევინს, ამერიკელ ლიტერატორს, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს, ცნობილ ქართველოლოგს ლუის ფრენსის სოლანოს, პარიზის კომუნისტური გამომცემლობის „ედიტერ ფრანსე რეუნის“ დირექტორს მაღლენ ბრონს, ფრანგ პოეტს შაკ გოშერონს და სხვა ძვირფას სტუმრებს.

ზეიმზე ჩამოვიდნენ საბჭოთა ქვეყნის თითქმის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები — მოლდავეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პ. ბოცული, ბარათაშვილის უზბეკურ ენაზე მთარგმნელები შამიი-ზადე და შუხრათი, უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ოლეს გონჩარი, აგრეთვე ქართული პოეზიისა და პროზის მთარგმნელები მიკოლა ბაჟანი, ოლექსა სინიჩენკო და ოლექსა ნოვიცკი. ზეიმზე ჩამოვიდა აგრეთვე ესტონურ ენაზე ბარათაშვილის ლექსების მთარგმნელი დებორა ვაარანდი.

ხალხმრავალი იყო საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ გამგეობის მდივნები: ნ. ტიხონოვი, ლ. სობოლევი, ს. ბარუზდინი, ა. სოფრონოვი, პოეტები ს. სმირნოვი, ა. მეჩიროვი და მრავალი სხვა.

საიუბილეო დღეებში თბილისში მოვიდა მრავალი მოსალოცი დეპეშა მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან.



სურათზე: ფრანგი პოეტი შაკ გოშერონი, ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა“ მთარგმნელი, თელავში ქართველ ქალიშვილებთან ერთად.

უკვდავება

(დასასრული).

სოფიური დაკვირვებაა. მისი პოეტური მედიტაციები დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე თავიანთი სიღრმით, განწირულების დრამატული განცდით და მასთან ერთად მაღალი მოქალაქეობრიობის აუცილებელი ხაზგასმით. პოეტს ბავშვობიდან განუყრელად თანასდევს ნაღვლის აჩშლელი იდუმალი ხმა. მას თავი ვერ დაუღწევია ბოროტი სულის დევნისაგან, და წყვდიადით მიმართავს გონების მომწამვლელ, სიცოცხლის ალმაშფოთარ ავბედით თანამგზავრს. ბარათაშვილს გულწრფელად სურს გაერკვეს ცხოვრების აზრში, მაგრამ უმალვე გული უტყდება და იმედგაცრუებული აღიარებს:

არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება?..

პოეტმა იცის ადამიანის ყოფა მხოლოდ აღუსებელი საწყაულია და რომ ამ ქვეყნად თავისი ბედით კმაყოფილი არავინ არის. კეთილ მეფეს ერთი წუთით არ ტოვებს ზრუნვა ხალხის პატრონობისა, ხოლო ბოროტ დამპყრობელს — იმის ფიქრი, რომ კიდევ უფრო გააფართოოს თავისი სამფლობელოს საზღვრები.

მაგრამ თუ ერთხელ სოფელს უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..

სინანულით ამბობს პოეტი, მაგრამ ამ დასკვნას იგი ცხოვრების აზრის უარყოფამდე, სიცოცხლის აბსურდად აღიარებამდე როდი მიჰყავს. პირიქით, იგი ცხოვრებას ღებულობს იმ სახით, როგორიც ის არის და ადამიანის არსებობის აზრს შრომასა და ბრძოლაში ხედავს:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!

ჭეშმარიტი ხელოვნება მუდამ ადამიანის სიდიადესა და გამარჯვებას ღაღადებს, იგი ჩაგვაგონებს ბრძოლის მოთხოვნილებას და მოქმედებისაკენ გვეძახის.

ბარათაშვილი აშიშვლებს და კარგად ხედავს წუთისოფლის ამაოებას, მაგრამ არასდ და არასოდეს გამოსავალს სიკვდილში არ ეძებს. არა სიცოცხლეზე ხელის აღება, არამედ ბრძოლა და მოქმედება არის ბარათაშვილის ერთადერთი გამართლება არსებობისა. პოეტი არასდ გულუბრყვილოდ თავს არ იტყუებს. იგი თითქმის ფიზიოლოგიურად განიცდის საკუთარ განწირულებასა და ცხოვრებაში სრულ უპერსპექტივობას, მაგრამ არამც და არამც თავის მწარე ხვედრთან შერიგება არა სურს. იგი უნაპირო უსასრულობისაკენ ისწრაფვის, რათა ბედის ბორკილებისაგან გაითავისუფლოს თავი. ბედისაგან ეს ლტოლვა სიცოცხლეზე ხელისაღებასავით საბედისწეროა და უკომპრომისო.

პოეტის სულის ეს განწირული ძახილი ჩვენ გულის სიღრმემდე შემძვრელად მოგვესმის მრავალსუკუნოვანი ქართული პოეზიის საუკეთესო ქმნილებაში, ბარათაშვილის შემოქმედების მწვერვალში „მერანში“.

პოეტს ერთი მიზანი ამოქმედებს, როგორმე გადალახოს ბედის მიერ მისთვის დადებული ზღვარი. ამ მიზნის მისაღწევად მართლაც ღირს ყველაფრის გაწირვა და დათმობა, რადგან ზღვარს იქით უსაზღვროება... თავისუფლება იწყება. პოეტი გამუდმებით ერთსა და იმავეს ჩასძახის თავის თავაწყვეტილ მერანს:

გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!

ასეთი თავგამეტებული ქროლვის დროს, როცა ადამიანი წინასწარ ურიგდება დაღუპვას, ძნელია იფიქრო მომავალზე და მით უფრო სხვების მომავალზე.

მაგრამ ბარათაშვილისათვის სწორედ მოქალაქეობრივი ვალის ეს განუყრელი გრძნობაა დამახასიათებელი. იგი კატასტროფის წუთებშიც არ კარგავს სიცოცხლის რწმენას და სიკვდილის გარდუვალობასთან შერიგების ჟამსაც თავს იმით იმხნევებს, რომ თუმცა სხვებისათვის, მაგრამ მაინც მისებრი ადამიანებისათვის, რჩება სიცოცხლისა და მომავლის პერსპექტივა. „მერანის“ უკანასკნელი სტრიქონები სწორედ ადამიანის საბოლოო გამარჯვების ჰიმნია, ქვეყნის დაღუპვის ჟამს ნათქვამი უმაღლესი ოპტიმიზმით გამსჭვალული ჰიმნი:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის
სულისკვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო
მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა
გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ
გამოუქროლდეს!

ძნელია დასახელება მეორე ლექსისა, რომელიც დაწერილი იყოს პოეტური ენერგიის ასეთი მოზღვავებით, რომელშიც განწირულებისა და სასოწარკვეთის შეგნება ასე ორგანულად იყოს შერწყმული დაუმორჩილებლობისა და თავდავიწყების განცდასთან.

საკმაოდ გრძელი ლექსი — „მერანი“ თითქოს ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი, დრამატიზი უკიდურესობამდეა მისული და უკანდასახევი ყველა გზა მოჭრილია. ორი სხვადასხვა მეტრისა და რიტმის მონაცვლეობა კიდევ უფრო აძლიერებს და ამძაფრებს ლექსის ისედაც არაჩვეულებრივ ექსპრესიასა და გაჭანებას.

„მერანს“ ადარებდნენ ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდს“ ცალკე თავებს, მიცკევიჩის „ფარისს“, რემბოს „მთვრალ ხომალდს“.

ბაირონი XIX საუკუნის დასაწყისის ევროპის ყველა პოეტის კერპი იყო და მისი მოტივების გამოძახილი ბევრი დიდი პოეტის შემოქმედებაში გვხვდება.

ბარათაშვილი ბავშვობიდან, სკოლის სკამიდანვე კარგად იცნობდა მიცკევიჩის შემოქმედებას და თუმცა „მერანი“ გარეგნული ნიშნებით, შორეულად მართლაც მოგვაგონებს „ფარისს“, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მეამბოხე სული პოლონეთის დიდი პოეტისა შინაგანად უთუოდ ეხათქვამდა ქართველი მგოსნის უდრეკ სულს.

რემბოს „მთვრალ ხომალდთანაც“ აქვს ზოგი რამ საერთო სადავემიშვებული მერნის ქროლვას.

მაგრამ ყველა ეს პარალელი გარეგნულია და მეტად შორეული. „მერანს“ აქვს თავისი უანლოესი პარალელი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. „მერანის“ ცალკე სტრიქონები არა მარტო ეხმაურება „ავთანდილის ანდერძის“ შესატყვის სტრიქონებს, არამედ ზოგჯერ თითქმის მათ პერიფრაზადაც გვეჩვენება. ეს პარალელური სტრიქონები არა მარტო გარეგნულად გვაგონებენ ერთიმეორეს, ისინი ერთმანეთს გვანან აზრითა და ღრმა დაფიქრების შედეგად მიღებული დასკვნების ერთიდაიგივეობით.

ბარათაშვილის შემოქმედებაში პირადი და საზოგადოებრივი მჭიდროდ არის ერთმანეთში გადახლართული. როგორც მოსალოდნელი იყო, სამშობლოს ბედზე, მის აწმყოსა და მომავალზე ფიქრს ბარათაშვილის შემოქმედებაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს! იგი, როგორც ყველა ჭეშმარიტი შვილი თავისი დროისა, თავისი შემოქმედების ცენტრში აყენებს დროის მიერ დასმულ კითხვებს. მისი პატრიოტული ლირიკა და პოემა „ბედი ქართლისა“ ამ კითხვებზე გაცემული პასუხია და საუკუნის შვილის, მოწინავე ადამიანის განწყობილების ღრმა ანაბეჭდს ატარებს.

თბილისი,

ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო კომიტეტს

„ეპოქის მოწინავე შვილი, რომელმაც თავის შემოქმედებაში ასახა ჰუმანიზმის, სოციალური სამართლიანობის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ნათელი იდეალები, შეუნელებელი სწრაფვა მშვიდობისადმი, უაღრესად ძვირფასია პროგრესული კაცობრიობისათვის, რომლის კეთილშობილურ იდეებს დიდებულად უმღერა მან თავის უკვდავ ნაწარმოებებში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება არა მარტო ქართველი ხალხის, არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხების, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხის საკუთრებაა. წარსული ეპოქის დიდი პოეტისა და მოაზროვნის მშვიდობისმოყვარული იდეები, რომლებიც თავის გავლენას ახდენენ მსოფლიო პოეზიის განვითარებაზე, მახლობელია დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანისათვის, ყველა იმათთვის, ვინც ახლა მშვიდობისა და სამართლიანობისათვის იბრძვის. მიესალმება რა ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს, მშვიდობის მსოფლიო საბჭო ღრმად არის დარწმუნებული, რომ ეს მოვლენა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეების მიერ დიდი პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაცნობას“.

რომენ ჩანდრა,

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი.



სურათზე: ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო დღეების მონაწილე სტუმართა ერთი ჯგუფი წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ბაღში.

საქართველოს შეერთება რუსეთთან, სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და ქვეყნის განვითარების ახალი პერსპექტივა, ღრმად აღელვებდნენ პოეტს და იგი არაერთხელ უბრუნდება ამ თემას.

სოლომონ მსაჯულის დიალოგში მის მეუღლესთან, აგრეთვე ერეკლე მეფესთან, ხელახლა ცოცხლდება ძველი კოლხეთის ტყეში შეფარებულ პატრიოტთა კრებაზე გამართული კამათი აიტისა და ფარტანდისა ორი უკიდურესობისაგან შედარებით უკეთესის არჩევის თაობაზე, კამათი, რომელიც თითხმეტი საუკუნის შემდეგ არაერთხელ განახლებულა ქართველთა მოდგმის მრავალი თაობის ცხოვრებაში. ამ პოემაში დიდი პოეტური მღელვარებით, მაგრამ მეტატიანის ობიექტურობით დახატულია მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს ტრაგიკული სურათი, ქვეყნის მოწინავე ადამიანთა გულწრფელი ზრუნვა ერის უკეთესი მომავლისათვის და ის საბედისწერო ჩიხი, რომელშიც საქართველო იმდროისათვის მოექცა. პოემას ჩვენ შევყავართ ისტორიის ტალღების ბობოქარ დენაში და ამ დინების მოწაწილედ გვხდის.

„ბედი ქართლისა“ არის შესანიშნავი რეალისტური პოემა. იგი ფორმის მხრივაც ახალია ქართულ ლიტერატურაში და არა მარტო პრობლემების დასმის სიღრმით, შესრულების ორიგინალობითა და მაღალი მხატვრულობითაც საეტაპო ნაწარმოებს წარმოადგენს XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში.

„ბედი ქართლისა“-ს გავლენა იგრძნობა ილიასა და აკაკის პატრიოტულ პოემებში და ერთგვარად ლანდივით გასდევს მთელ ახალ ქართულ პოეზიას.

ბარათაშვილს სიკვდილამდე აწვალებდა ქართლის ბედი. დიდია ბარათაშვილის როლი ქართული პოეზიის განვითარებაში, იგი იყო ქართული პოეზიის ევროპეიზაციის მედროშე და ამავე დროს მყარად იდგა ეროვნული პოეზიის ნიადაგზე. პოეტი ეხმაურება დასავლეთის პოეზიაში აღძრულ პრობლემებს და ამავე დროს თავისი პოეტიკის წყაროებს რუსთაველისა და კლასიკური ქართული პოეზიის, მდიდარი ქართული ჰაგიოგრაფიის, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში უდებდა სათავეებს.

ბარათაშვილი, გურამიშვილის შემდეგ და მისგან დამოუკიდებლად, იყო პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც დასძლია იმ დროის ქართულ ლიტერატურაში გაბატონებული აღმოსავლეთის პოეზიის გავლენა.

ბარათაშვილმა აღადგინა პირდაპირი ხაზი რუსთაველთან, რომელიც საქართველოს პოლიტიკური და კულტურული დაცემის შედეგად იყო გაწყვეტილი.

თუ რუსთაველის პოეზია თავისი სრულქმნილობით, უნაპირობითა და მზიური სიმშვიდით ოკეანეს გვაგონებს, მთის გამჭვირვალე მდინარეს ჰგავს, რომელსაც უბნელესი ღრმა მორევში აქვს და ისეთი ადიდება იცის, რომლის დაოკებაც მხოლოდ გიჟურ ჭროლვას, არყოფნის ზღვასთან შეერთებას შეუძლია. ბარათაშვილის პოეზია დაუამებელი ტკივილების, ადამიანის სულის განუკურნებელი ტკივილების პოეზიაა და როგორც ადამიანი ვერ იცოცხლებს ტკივილის გრძნობის განუცდელად, ისე ქართული პოეზიაც წარმოუდგენელი იქნება იმ შავი ფიქრებისა და სასოწარკვეთილი ტკივილების გარეშე, რომლითაც ბარათაშვილმა აავსო ჩვენი სული, სამყაროსთან ჩვენი დამოკიდებულების განცდა.

როცა ბარათაშვილის წინამორბედ ქართულ პოეზიას ვიხილავთ, ჩვენ ზოგჯერ იქნებ კიდეც ვაჭარბებთ ბარათაშვილის რეფორმატორული როლის შეფასებისას, ბევრი რამ, რასაც ჩვენ ბარათაშვილის დამსახურებად ვთვლით, ნაწილობრივ და სხვა სახით გვხვდება გურამიშვილის და ზოგიერთ მის თანამედროვე პოეტთა ნაწარმოებებში, მაგრამ ეს გარემოება სულაც არ ამცირებს ბარათაშვილის ღვაწლის მნიშვნელობას. ბარათაშვილი არ იცნობდა გურამიშვილს და მან ბევრი რამ „დავითიანის“ ავტორისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინა ქართული პოეზიისათვის. ამასთან ისიც საგულისხმოა, რომ ბარათაშვილი სრულიად განსხვავდება გურამიშვილისაგან საწუთროსთან (ბარათაშვილის — ბედის წერა) დამოკიდებულებაში.

ბარათაშვილი მწარედ განიცდის განწირული ადამიანის სულიკვეთებას, იგი ხედავს ცხოვრების უაზრობასა და უიმედობას, მაგრამ გამოსავალს გურამიშვილის მსგავსად რელიგიურ მორჩილებაში, ან პასიურ აგონიაში კი არ პოულობს, არამედ ბედისწერის წინააღმდეგობაში, ხვედრთან შებრძოლებაში.

ბარათაშვილის პოეზია მარტო იმით კი არ არის ახალი სიტყვა, რომ მან გატკბილებულ აღმოსავლურ ვარდბულბულიანს აქცია ზურგი. მის ლექსებში პირველად გაისმა დასავლური პოეზიის ის მოტივები ადამიანის ბედისა და ყოფნა-არყოფნის, გარესამყაროსთან მისი დამოკიდებულებისა და სიცოცხლის აზრის ძებნისა, რომელიც ასე განასხვავებს ევროპულ პოეზიას აღმოსავლურისაგან.

არა უღონო მოთქმა სოფლის სამდურავისა, არა ღვინოში ჩახშობა საწუთროს გაუტანლობით აღძრული სასოწარკვეთილებისა, არა მისტიური ექსტაზით ღვთაებასთან შეერთებით მიღწეული თავდავიწყება და ცხოვრებისაგან გამოთიშვა, არამედ პროტესტი და შებრძოლება, დაგმობა და უარყოფა ბედის განაჩენისა, ადამიანისათვის დადებული საზღვრის დაძლევისა და გადალახვისათვის თავგამეტებული ბრძოლა.

აი ის მოტივები, რომლებიც ასე აშორებენ ბარათაშვილს აღმოსავლური გავლენებისაგან და რომლებიც ასევე აახლოებენ მას მისი თანამედროვე ევროპული პოეზიის იდეებთან. ჩვენ გვხიბლავს ადამიანის სულის სიღრმეების შექსპირისებური წვდომა ბარათაშვილისა, უხილავის ხილვისაკენ დაუმცხრალი სწრაფვა, ფილოსოფიური განსჯის ბუნებრიობა და მნიშვნელობა.

ბარათაშვილი არის ადამიანის სულიერი ამაღლების მომღერალი პოეტი. მისი ჰუმანიზმი ფართოა და აქტიური. იგი ადიდებდა ხალხთა მეგობრობასა და ძმობას, და, პუშკინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმ სასტიკ დროში აღვიძებდა კეთილშობილურ გრძნობებს“.

ბარათაშვილი მთელი არსებით ებრძოდა თავისი დროის უსამართლობას და, მიუხედავად იმისა, რომ თავის უღონობას ტრაგიკულად განიცდიდა, მაინც მტკიცედ სწამდა ადამიანის ძლევამოსილება, კეთილი საწყისის საბოლოო გამარჯვების ზეიმი.

ამ ზეიმს წინასწარმეტყველურად ჭვრეტდა იგი ბნელი დროის შავი ღრუბლების მიღმა და, დასტიროდა რა სულის ობლობასა და უნუგეშობას, სჯეროდა, რომ მის შემდგომ თაობებს თავისი მსხვერპლით გზის სიძნელეს უადვილებდა.

მის პოეზიაში გასაოცრად არის შეხამებული უკიდურესი სასოწარკვეთა და დასაღუპავად განწირული, გაუტეხელი ვაჟკაცის ოპტიმიზმი.

ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ პოეტი იმედმოცემული ამბობდა:

შავის ზღვის ზვირთნი ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა.

ბარათაშვილს ალბათ ოცნებაც არ შეეძლო იმაზე, თუ ჩვენი საბჭოთა დრო პოეტის უკვდავი შემოქმედების რამდენ მეგობარს შეჰყრიდა მის დღესასწაულზე.

ეს არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი, ქართული საბჭოთა კულტურის დიდებული დღესასწაული. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა უკვდავების შარავანდედით მოსავს მათს სახელებს, ვისაც თავისი შემოქმედებით მშობელი ხალხის საუკეთესო იდეალები უდიდებია და საკაცობრიო კულტურაში თავისი წვლილი შეუტანია. შემოქმედთა ასეთ რიცხვს ეკუთვნის ბარათაშვილი და დღეს, როცა ღირსეულს მივუზღავთ მის ნაღვლიან მუზას, ჩვენ სიამაყით წარმოვთქვამთ:

დიდება ბარათაშვილის უჭკნობ შემოქმედებას!
დიდება ბარათაშვილის მშობელ ხალხს!

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა * თ ბ ი ლ ი ს ი *

ზეიმის დღეებში

ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავი.

10 სექტემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ჩვენი ქვეყნის მწერალთა ორგანიზაციების თვალსაჩინო წარმომადგენლები, უცხოელი ლიტერატორები. აქ გაიმართა სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობების გაერთიანებული პლენუმი, მიძღვნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი.

პლენუმზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გრ. აბაშიძემ. მან ქართველი ხალხის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა იუბილეზე ჩამოსულ სტუმრებს და სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის გაერთიანებული პლენუმი გახსნილად გამოაცხადა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა.

პლენუმის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავის იუბილეს მომწყობი სრულიად საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ნ. ტიხონოვის გამოსვლას.

— უძველეს და მარად ახალგაზრდა მშვენიერ ქალაქ თბილისში, — თქვა ტიხონოვმა, — დღეს ჩვენ შევდივართ უნაზესი პოეზიის სამყაროში. პოეტურ დღესასწაულს იზიარებენ ჩვენი სამშობლოს ყველა მოძმე რესპუბლიკის პოეტები. გულითადად მივესალმებით ძვირფას სტუმრებს, რომლებმაც პატივი დაგვდეს და გვეწვივნენ დღესასწაულზე. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით საზღვარგარეთ ჩვენს ზეიმს იზიარებენ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლი მწერლები და პოეტები, მეცნიერები.

პლენუმზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა მკვლევარმა პ. ინგოროყვამ.

ტრიბუნაზეა ლენინური პრემიის ლაურეატი, უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ოლეს გონჩარი. მან ქართველ მწერლებს მიართვა სახალხო მხატვრის ვერესის ნამუშევარი — ხელმანდილი და აგრეთვე საიუბილეო დღეებში ბარათაშვილის ლექსების უკრაინულ ენაზე გამოცემული კრებული.

ნ. ბარათაშვილის მემკვიდრეობის სიდიადეზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქტორმა ს. ბარუზდინმა, აზერბაიჯანის სახალხო პოეტმა მ. რაბიმმა, სომეხმა პოეტმა გ. ემინმა, ლენინგრადელმა პოეტმა მ. დუდინმა, ცნობილმა ბულგარელმა პოეტმა ლ. ლამარმა, პოლონელმა პოეტმა, ბარათაშვილის ქმნილებათა მთარგმნელმა ლ. ლევინმა, საბჭოთა პოეტმა ს. სმირნოვმა, ბელორუსმა პოეტმა ე. ლოსმა, გერმანელმა პოეტმა, ბარათაშვილის ლექსების მთარგმნელმა რ. კირშმა, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, პოეტმა ი. თარბამ, უნგრელმა პოეტმა შ. რაბმა, რუმინელმა პოეტმა ჯ. იუტემ, საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების თავმჯდომარემ თ. გაგლოევმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, კრიტიკოსმა გ. ღლენტმა.

10 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერიაში გაიხსნა დიდი პოეტისა და მოაზროვნის ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ვერნისაჟზე მოვიდნენ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავის იუბილეს მომწყობი სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური კომიტეტის წევრები, თვალსაჩინო საბჭოთა და უცხოელი მწერლები, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

11 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც გამოჩენილი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეს მიეძღვნა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ.

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს გრ. აბაშიძეს...





ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ლ. სობოლევი, გამოჩენილი უკრაინელი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი მ. ბაჟანი, უნგრეთის მწერალთა კავშირის გენერალური მდივანი ი. დობოზი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ჯაფაროვი, საფრანგეთის კომპარტიის გამომცემლობა „ედიტერ ფრანსე რეიუნის“ დირექტორი მადლენ ბრონი (პარიზის ამ გამომცემლობაში გამოვიდა ბარათაშვილის ლექსთა კრებული), ცნობილი სომეხი მწერალი მ. შათირიანი, რუმინელი პოეტი ვ. კერნბახი, ჟურნალ „ოგონიოკის“ მთავარი რედაქტორი ა. სოფრონოვი, პოეტი-აკადემიკოსი ირ. აბაშიძე, გერმანელი პოეტი, ბარათაშვილის ლექსების მთარგმნელი რ. კირში, მოლდავეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პ. ბოცული, ცნობილი უზბეკი მწერალი ე. შამიი-ზადე, ჩრდილოეთ ოსეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მ. ცაგარაევი.

სხდომაზე ქართულად წარმოთქვა სიტყვა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქართველოლოგმა ლ. სელანმ.

სხდომაზე გამოვიდა ფრანგ პოეტი, პოემის „ბედი ქართლისა“ მთარგმნელი ჟაკ გიშეარონი. მან წაიკითხა პიერ გამარას მისასალმებელი დეპეშა და ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

დარბაზში გაისმა ტაში, როცა საზეიმო სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის რომენ ჩანდრასა და გამოჩენილი რუსი მწერლის მიხეილ შოლოხოვის მოსალოცი დეპეშები.

იმავე საღამოს ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო კონცერტი გაიმართა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი მუსიკოსები, მომღერლები, მოცეკვავეები, მხატვრული სიტყვის ოსტატები.

12 სექტემბერს მადლიანი კახეთი გულღიად შეეგება სტუმრებს — ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეს მონაწილეებს. ავტომანქანების კოლონას, რომლებშიც იმყოფებოდნენ საბჭოთა და უცხოელი სტუმრები, თელაველები ტაშით შეხვდნენ.

თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა საიუბილეო ზეიმის მონაწილეთა შეხვედრა ადგილობრივ ინტელიგენციასთან.

შემდეგ სტუმრები წავიდნენ ყინანდალში, სადაც დათვალიერეს ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.

13 სექტემბერს შუადღისას ზეიმის მონაწილენი — თვალსაჩინო საბჭოთა და საზღვარგარეთელი მწერლები, დედაქალაქის საზოგადოებრიობა შეიკრიბნენ სკვერში ბარათაშვილის სახელობის ხიდის მახლობლად, რათა დასწრებოდნენ პოეტის ძეგლის საძირკვლის ჩაყრას.

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლობის მიტინგი გახსნა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ბუხრაშვილმა. მან თქვა, რომ ქართველი ხალხი წმიდად ინახავს თავისი დიდი შვილის ხსოვნას და რომ ეს საიუბილეო ზეიმი ამ პატივისცემისა და სიყვარულის დადასტურებაა.

სიტყვებით გამოვიდნენ რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ლ. სობოლევი, ცნობილი სომეხი პოეტი აშოტ გრაში, ყაბარდო-მალყარეთის სახალხო პოეტი კაისინ ყულიევი, ფინელი მწერალი არვო პაარო.

სკვერში დადგმულია მარმარილოს ფილა, რომელზეც წარწერილია: „აქ აღიმართება პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი“.

13 სექტემბერს საიუბილეო ზეიმის მონაწილეები ავიდნენ ბარათაშვილის საფლავზე მთაწმინდის პანთეონში. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივნებმა ნ. ტიხონოვმა და ლ. სობოლევმა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გვირგვინებით შეამკეს ძეგლის კვარცხლბეკი.

საზღვარგარეთის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ჯგუფის სახელით გვირგვინი მოიტანეს პარიზის კომუნისტური გამომცემლობის „ედიტერ ფრანსე რეიუნის“ დირექტორმა მადლენ ბრონმა და ბულგარელმა პოეტმა ლამარმა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეს დღეებში თბილისი გახდა ზეიმზე ჩამოსული პოეტების საერთაშორისო შეჯიბრების ადგილი. ამ საერთო-სახალხო დღესასწაულის დასკვნითი აკორდი იყო მსოფლიო პოეზიის ინტერნაციონალური საღამო, რომელიც თბილისში 13 სექტემბერს გაიმართა ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში.

საღამოს საქართველოს მთავრობამ მთაწმინდაზე დარბაზობა გამართა დიდი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მონაწილეთა პატივსაცემად.

სურათებზე: ზემოთ — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე და პარიზის გამომცემლობა „ედიტერ ფრანსე რეიუნის“ დირექტორი მადლენ ბრონი; ქვემოთ — ზეიმის მონაწილენი მთაწმინდაზე, დიდი პოეტის საფლავთან.

დიდება მგოსნისა

(დასასრული).

შესახებ გადმოგვცემს პოეტის პირველი ბიოგრაფი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე მამაცაშვილი, პოეტის ახლო მეგობარი სიყრმის დროიდანვე. ამასთან აღვნიშნავთ, რომ მამაცაშვილი ახლო მეგობარი იყო როგორც ბარათაშვილისა, ისე ლერმონტოვისა.

ბიოგრაფიულ წერილში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1881 წელს, კ. მამაცაშვილი წერს:

„ბევრი იმისი (ნ. ბარათაშვილის) ლექსები დაკარგულნი არიან, რადგან დაბეჭდვა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა. მე მახსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩვენთვის წაუკითხავს — „ივერიელნი“. ამ პოემაში აღწერილი იყო აყვავებული ცხოვრება მე-10, მე-11, მე-12 საუკუნეებისა“.

ამრიგად „ივერიელნი“ **დიდი** პოემა ყოფილა. ამასთან იგი იმდენად თავისუფალი სულით ყოფილა აღბეჭდილი, რომ კ. მამაცაშვილის ფრთხილად თქმული სიტყვების თანახმად, „დაბეჭდვა იმისი მაშინ არ შეიძლებოდა“.

ისტორიულ-ლიტერატურული მასალების შესწავლის საფუძველზე ჩვენ გვაქვს საშუალება შევავსოთ კ. მამაცაშვილის ცნობები.

პოემა „ივერიელნი“ დაწერილი ყოფილა „ბედი ქართლისა“-ს შემდეგ. „ბედი ქართლისა“ დაიწერა 1839 წელს ხოლო „ივერიელნი“, რომელიც დიდ პოემას წარმოადგენდა, ნ. ბარათაშვილს დაუმთავრებია ოთხი წლის შემდეგ, 1843 წელს. ნ. ბარათაშვილს პოემა „ივერიელნი“ გაუგრცელებია ხელნაწერად სანდო მეგობართა ვიწრო წრეში 1843-1844 წლების მიჯნაზე, ფსევდონიმით **„მირიან ივერი“**.

აქ საჭიროა საგანგებოდ შევჩერდეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსევდონიმებზე. დასტურდება, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის თხზულებებს, რომლებიც პოლიტიკური რადიკალიზმით იყო აღბეჭდილი, ავრცელებდა საზოგადოებაში, პირველ რიგში სანდო თანამოაზრეთა შორის, ხელნაწერებად, ფსევდონიმებით:

დადგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ორი ფსევდონიმი: *** (სამი ვარსკვლავი) და „მირიან ივერი“.

ფსევდონიმს *** (სამი ვარსკვლავი) ნიკოლოზ ბარათაშვილი ამოფარებია როგორც ავტორი „ბედი ქართლისა“.

ფსევდონიმს „მირიან ივერი“ პოეტი ამოფარებია როგორც ავტორი პოემისა „ივერიელნი“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული გზა არის გზა მებრძოლისა. ნიკოლოზ ბარათაშვილი არის შეთქმული, თავდადებული მებრძოლი ერის, ხალხის საქმისათვის. ჰეშმარიტად, ნიკოლოზ ბარათაშვილი თვით იყო ის თავგანწირული მხედარი, რომელიც დაგვიხატა მან „მერანში“.

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ იმავე კონსტანტინე მამაცაშვილის ცნობას.

როგორც ვნახეთ, კ. მამაცაშვილს საჭიროდ მიაჩნია საგანგებოდ აღნიშნოს, რომ დაკარგულია არა მხოლოდ პოემა „ივერიელნი“, არამედ „ბევრი“ სხვა თხზულებანი ბარათაშვილისა, რომლებიც ასევე პოლიტიკური რადიკალიზმით ყოფილა აღბეჭდილი.

როგორც ვნახეთ, კ. მამაცაშვილი ასე იწყებს თავის ცნობას:

„ბევრი იმისი (ნიკოლოზ ბარათაშვილის) ლექსები დაკარგულნი არიან, რადგან დაბეჭდვა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა“, და ამას მოჰყვება ცნობა ერთ-ერთი ასეთი დაკარგული თხზულების „ივერიელნის“ შესახებ.

ჩვენ აქ ალარ გავაგრძელებთ ბარათაშვილის არმოღწეულ თხზულებათა ჩამოთვლას. როგორც წყაროების შესწავლიდან ირკვევა, დაკარგულია არა მხოლოდ პოლიტიკური რადიკალიზმით აღბეჭდილი მთელი რიგი თხზულებანი, არამედ ლირიკული ლექსებიც (მათ შორის არა მხოლოდ ბოლო პერიოდის, 1844-1845 წლების ლექსები, არამედ უფრო ადრინდელებიც, როგორც, მაგალითად, „ასტრა“, რომელსაც ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდა ბარათაშვილის თანამედროვე პოეტი მიხ. თუმანიშვილი). მოღწეული არ არის ადრეთვე ბარათაშვილის თარგმანები, მათ შორის თარგმანი ლეიზევიცის განთქმული ტრაგედიისა „იულიუს ტარანტელი“, რომელმაც გავლენა მოახდინა შილერის ტრაგედია „ყაჩაღებზე“.

ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ იმაზე, თუ როდის და რა ვითარებაში დაღუპა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედი ტრაგიკულად მოეწყო.

როგორც ეს გამოირკვა ბარათაშვილის ცხოვრების შესწავლიდან, ცარისტული **ხელ**ისუფლებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რომ ბარათაშვილი გახდა ცენტრი, რომლის გარშემო ერთიანდებოდა მთელი ცოცხალი ძალები ქვეყნისა. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, რომლის პოლიტიკური რადიკალიზმი საგონებელს უქმნიდა თვით პოეტის მეგობრებს, ჯერ კიდევ 1839 წლიდან გავრცელდა საზოგადოებაში. ვერავითარმა ფსევდონიმებმა (ჯერ „სამი ვარსკვლავი“ — პოემისათვის „ბედი ქართლისა“, შემდეგ „მირიან ივერი“ — პოემისათვის „ივერიელნი“) ვერ დაფარეს პოეტის ვინაობა. ეს ფსევდონიმები ადრევე გაიხსნა. თავისუფლების სულით შთაგონებული თხზულებანი პოეტისა, რომლებიც ავტოგრაფიულ ხელნაწერებში ხელმოუწერლად და ფსევდონიმებით იყო წარმოდგენილი, ვრცელდებოდა საზოგადოებაში სხვადასხვა გადმონაწერების სახით, და ამ გადმონაწერებში ზოგჯერ აცხადებდნენ პოეტის სახელსა და გვარს. ამასთან უნდა ითქვას, რომ დიდ სიფრთხილეს არც თვით პოეტი იჩენდა. ცნობილია, რომ ბარათაშვილი „ბედი ქართლისა“-ს საჯარო კითხვასაც აწყობდა, — თუმცა ვიწრო წრეში, მაგრამ ამას ფართო გამოხმაურება ჰქონდა. ისიც კი ცნობილი გახდა, რომ ბარათაშვილმა საჯაროდ აუგად მოიხსენა ნიკოლოზ I.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის მოღვაწეობის ხანა სულ რამდენიმე წლით არის დაშორებული 1832 წლის შეთქმულების დროს და ხელისუფლება ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ცოცხალი აზრის ყოველგვარ ნასახს. მით უფრო შეუძლებელია ხელისუფლებას შეუმჩნეველად დარჩენოდა იგი, ვინც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების აშკარა მქადაგებლად გამოდიოდა. ბარათაშვილი თავიდანვე უნდა გამხდარიყო და გამხდარა კიდეც ცარისტული ხელისუფლების მუდმივი მეთვალყურეობის საგანი.

ბარათაშვილის გარშემო თანდათან იკვრებოდა მოჯადოებული წრე.

1844 წელს ბარათაშვილი იძულებული ხდება დატოვოს საქართველო და მიდის ჯერ ნახჭევანში, შემდეგ განჯაში, საიდანაც ცოცხალი ვეღარ დაუბრუნდება სამშობლოს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა განჯაში 1845 წლის 21 ოქტომბერს სრულიად **ახ**ალგაზრდა, 27 წლის და 10 თვისა. დაკრძალეს განჯაში, მშობელ-ნათესავთაგან დაუტირებელი. არავინ საქართველოდან მის დასაფლავებას არ დასწრებია.

რა მდგომარეობაში იყო ამ დროს ნ. ბარათაშვილის ოჯახი? ნ. ბარათაშვილს მამა მელიტონი დამბლად იყო ჩავარდნილი. ბარათაშვილის დედა ეფემია დაავადებული იყო. ამავე დროს ოჯახი სრულ სიღატაკეს განიცდიდა.

ნ. ბარათაშვილ**ის გარ**დაცვალების მეორე წელს, 1846-ს, ზამთრის გასვლის შემდეგ, განჯაში ჩავიდა პოეტის დედა ეფემია და მოიგლოვა შვილის საფლავი.

ვიდრე პოეტის დედა ჩავიდოდა განჯაში, ბარათაშვილის ხელნაწერები დაიკარგა, უკვალოდ გაქრა პოეტის მთელი ლიტერატურული არქივი. კერძოდ არავითარი კვალი პოეტის იმ ნაწარმოებთა, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, არა ჩანს.

რომ არქივი მთლიანად დაიღუპა, ამას ისიც ადასტურებს, რომ არ მოღწეულა ნ. ბარათაშვილის კორესპონდენცია. ნ. ბარათაშვილს, როგორც ცნობილია, ფართო მიმოწერა ჰქონდა. ჩვენს დრომდე გადარჩენილა ნ. ბარათაშვილის წერილები, გაგზავნილი მეგობრებთან. ხოლო არ მოღწეულა არც ერთი წერილი, გამოგზავნილი მეგობრების მიერ ბარათაშვილთან.

დიმიტრი ყიფიანი წერდა ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების გამო: „იგი ჰავის მსხვერპლი გახდაო. მაგრამ ეს ჰავა იყო არა მხოლოდ ავთვისებიანი მალარია განჯისა, სადაც იძულებული გახდა წასულიყო პოეტი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სხვა ჰავა, ჰავა ცარიზმისა, რომელმაც იმსხვერპლა რუსეთში არა მარტო დეკაბრისტები, არამედ ლერმონტოვი და პუშკინი, რომლის მწვავე სუსხი მოხვდა პოლონეთის პოეტებს, ხოლო საქართველოში იმსხვერპლა ბარათაშვილი.

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ
ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი
ყორანი!..

დღეს ამ დიდ ფორუმზე, რომელსაც ესწრებიან წარმომადგენელნი ყველა ჩვენი მოძმე ხალხისა, რომლებიც დაკავშირებული არიან დიადი ურყევი ინტერნაციონალური მეგობრობით, ჩვენ, იმ ანდერძის — „ზაპოვიტის“ თანახმად, რომელიც დაგვიბარა უკვდავი ხალხის დიდმა შვილმა შევჩერდეთ, რომელიც ოცნებობდა მოძავალზე, როდესაც ხალხები თავისუფალ ოჯახში შეიყრებიან, ვიგონებთ ამ „ზაპოვიტის“ თანახმად კეთილი სიტყვით ქართველი ხალხის დიდ შვილს ნიკოლოზ ბარათაშვილს; ვიგონებთ კეთილი სიტყვით არა მხოლოდ როგორც გენიოს, პოეტს, არამედ აგრეთვე როგორც მოქალაქეს, ჩვენს დიდ მოღვაწეს, ქვეყნისათვის თავდადებულს.





სიტყვა პოეტზე

სერგი ფულაძე –

წინასიტყვაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ფრანგული გამოცემისათვის

ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული პოეზიის უპირველესი და ყველაზე დიდი რომანტიკოსი პოეტია. მისი შემოქმედების მნიშვნელობა განუზომელია. იგი ეკუთვნის იმ პოეტების რიცხვს, რომლებიც უმღერიან დიდ ადამიანურ გრძნობებს.

ნ. ბარათაშვილის პოეზიის გასაგებად უნდა წარმოვიდგინოთ საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მდგომარეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში და კერძოდ იმ წლებში, როდესაც პოეტმა თავისი ხანმოკლე ცხოვრება გაატარა. კავკასიონის კალთებს შეფარებული, შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს მდებარე საქართველო უძველესი ქვეყანაა, რადგან იგი მოიცავს ბერძნული ლეგენდების კოლხეთს და სტრაბონის მიერ აღწერილ იბერიას. XVIII საუკუნის დასასრულს თურქებისა და სპარსელების განუწყვეტელი თავდასხმების გამო საქართველოს მეფემ მფარველობა სთხოვა ერთმორწმუნე რუსეთს. ამით საქართველო დაუკავშირდა ევროპას, რომელსაც მოწყვეტილი იყო ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ.

მაგრამ 1801 წელს საქართველო ანექსირებულ იქნა და შევიდა რუსეთის იმპერიაში, როგორც პროვინცია. ეს იყო შავბნელი და სასტიკი ეპოქა. 1825 წელს ტახტზე ავიდა ტირანი ნიკოლოზ პირველი. მან დიდი სისასტიკით ჩაახშო დეკაბრისტების აჯანყება. ყოველი მოწინავე აზრი იდევნებოდა. საზოგადოებრივი აზრის განვითარება ისეთ არტახებში მოექცა, რომ ისტორიის სახელმძღვანელოებში, რომლებსაც სწავლობდნენ გიმნაზიებში, ცენზურა არ ტოვებდა ანტიკური ხანის იმ გმირების სახელსაც კი, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. პარიზის ივლისის რევოლუციის შემდეგ, რომლის ტალღები მთელ ევროპას მოედო და რუსეთსაც ემუქრებოდა, რუსეთის იმპერატორმა ავსტრიასა და პრუსიას შესთავაზა 50.000 ჯარისკაცი საფრანგეთში წესრიგის დასამყარებლად. გენერალმა პასკევიჩმა, რომელსაც ახალდატოვებული ჰქონდა კავკასიის მთავარმართებელის პოსტი, სისხლში ჩაახრჩო პოლონელი პატრიოტების აჯანყება. ამ პერიოდში კავკასიაში გადასახლებული რუსი დეკაბრისტებისა და აჯანყებაში მონაწილე პოლონელების გავლენით 1832 წელს მზადდებოდა შეთქმულება საქართველოს გასათავისუფლებლად, მაგრამ შეთქმულება გაცემულ იქნა. მისი მონაწილენი დაპატიმრეს და დასაჯეს.

მარცხი განიცადა ნ. ბარათაშვილმა პირად ცხოვრებაში. მისი ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა. ამას ისიც დაერთო, რომ გიმნაზიაში სწავლის დროს ფეხი იტკინა და დაკოჭლდა კიდეც. ამ გარემოებამ პოეტს ხელი შეუშალა განეხორციელებინა თავისი სანუკვარი ოცნება — ემსახურა ჯარში ან სწავლა განეგრძო უნივერსიტეტში. თუმცა ფარხმალი არ დაუყრია. იგი მონაწილეობს არისტოკრატიული ოჯახების დარბაზობებში, არ აკლდება არაფერს, რაც კი თბილისში, კავკასიის ამ პატარა სატახტო ქალაქში მნიშვნელოვანია. ხვდება ბრწყინვალე, გონებამახვილ ახალგაზრდობას და მომხიბვლელ ასულებს. ეს საზოგადოება ხშირად იკრიბებოდა ჭავჭავაძეთა სალონში, საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი გვარის ოჯახში, რომლის მეთაურია სახელგანთქმული პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რასინისა და ვოლტერის მთარგმნელი. მისი სამი ქალიშვილი კი ახალგაზრდების შთამაგონებელი მუზები იყვნენ.

ბარათაშვილს თავდავიწყებით უყვარს ერთი მათგანი, ეკატერინე, რომელსაც უძღვნის მრავალ თავის ლექსს, ხოლო ნინო ჭავჭავაძესთან, ცნობილი რუსი მწერლის გრიბოედოვის მეუღლესთან დიდი მეგობრობა აქვს. პოეტი საზოგადოებაში ჩანს მხიარული, აღფრთოვანებული, თხზავს ეპიგრამებს, უკრავს თარსა და ჩონგურს, გატაცებით ცეკვავს, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაკოჭლდა თხუთმეტი წლის ასაკში მარცხის შედეგად.

მაგრამ მიუსედა და სტენდალის მსგავსად, ნ. ბარათაშვილის დარდიმანდობამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ეს მაღალი საზოგადოება, სადაც პოეტი ხშირად ტრიალებდა, როგორადაც არ უნდა ყოფილიყო გატაცებული ლიტერატურით და მოწინავე აზრებით, მაინც ვერ აწვდიდა პოეტს მისთვის აუცილებელ სულიერ საზრდოს. მას ეწვდა სახელოვანი მოღვაწეობა, სიყვარული, კეთილშობილური სწრაფვა ბედნიერებისაკენ. ხოლო შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ თბილისში, ისე როგორც ევროპის სამთავროების დედაქალაქებში, გაბატონებული იყო ისეთი განწყობილება, როგორსაც აღწერს სტენდალი თავის რომანში „ლუსიენ ლევენ“, რომლის წერაც მან 1834 წელს დაიწყო. ცხოვრების წინა პლანზე იყვნენ უწინარეს ყოვლისა განათლებული ადამიანები, დროსტარების მოყვარულნი, რომლებიც დღისით ზრუნავდნენ თავიანთი კეთილდღეობისათვის, ხოლო საღამოს კი დროს მხიარულად ატარებდნენ, დადიოდნენ ოპერაში და, რაც მთავარია, არ ედავებოდნენ ხელისუფლებას, რაც გამოიწვევდა აღელვებასა და სვედიანობას.

ამრიგად, ასეთ ატმოსფეროში ადამიანებს, რომლებსაც ჰქონდათ სურვილი ხალხის კეთილდღეობისათვის ეზრუნათ, ვერ მოენახათ აქტიური ბრძოლის საშუალება და ოცნება-ზმანებას ეძლეოდნენ. სწორედ ასეთი ვითარებაში ყალიბდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკული სულისკვეთება.

ამ პირობებში საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მოწყვეტა, მოჭმედების შეზღუდვა, იწვევს პოეტურ ეგზალტაციას და აღადგენს მარადიული ტრფობის თემას, რომელსაც ლირიკული პოეზია ყოველთვის უმღეროდა. მაგრამ რომანტიკული მგრძნობიარობა მას ანიჭებს ამაღლებული დიაპაზონის ყღერადობას.

ამიტომაც არის, რომ ბარათაშვილის პოეზიაში მოიპოვება სიყვარულის ძიებისა და სულის მარტოობის თემათა შერწყმა. ასეთი განცდის უფრო სწორად გადმოცემისათვის საჭიროა გავიხსენოთ რომანტიკული სასოწარკვეთილების ორი სახეობა, ერთი — სევდის ბანალური პოეტური ეგზალტაცია, მელანქოლიით ერთგვარი ტკბობა, რითაც რომანტიკოსი პოეტები, და არც თუ ისე მდარენი, გამოთქვამენ თავიანთ დამოკიდებულებას ცხოვრებისეული სიძნელეების მიმართ, და სასოწარკვეთილების მეორე სახეობა, როდესაც ადამიანის არსებობას დაეუფლება უფრო ღრმა განცდები და როდესაც პიროვნება გულგატეხილობას განიცდის როგორც იდუმალი ხმით მინიჭებულ სასჯელს. ბარათაშვილის ლექსი „სული ობოლი“ ისეთივე ამაღელვებელი აქცენტით არის დაწერილი, როგორც ნერვალის ცნობილი „დეზდიშადო“.

ასეთი ფაქიზი განცდის ადამიანებს ჩვეულებრივად აქვთ მიდრეკილება მისტიციზმის ან პანთეიზმისადმი. ნერვალი, რომელიც სხვა მხრით ესოდენ უახლოვდება ბარათაშვილს, ოცნებით უკავშირდება მისტიციზმს, რითაც პოეტი თავს იმშვიდებს. ბარათაშვილს კი ბუნების წიაღში ჩაწვდომისას ემჩნევა ერთგვარი პანთეისტური განწყობილება, სადაც არც ისე ძნელია შევამჩნიოთ რუსთაველის ნეოპლატონური იდეათა ზეგავლენა. ბარათაშვილს იზიდავს განსაკუთრებით ღამე, ბოდლერისათვის ძვირფასი „მიმავალი დიდი ღამე“. ღამის პირობებში, როდესაც პოეტს ღამის სიმშვიდეში დასცქერიან უამრავი ვარსკვლავები, ის თავს ობლად აღარ გრძნობს, მოელის მწუხარების განქარვებას.

პოეტი შთაგონებულია არა მარტო ღამით, იგი თავისი ლექსებით ხმამაღლა გვეხმაურს სინათლისაკენ, მოგვიწოდებს თავისუფლებისა და ბრძოლისაკენ. გვასწავლის, რომ ადამიანის სევდა უმიზეზოდ არ არის გამოწვეული, მაგრამ ის ძნელი გზაა სამყაროს შესაცნობად. ობიექტურად არსებული ბარათაშვილის რომანტიზმი მიმართულია მომავლისა და პროგრესისაკენ, იგი მოგვიწოდებს არა მხოლოდ იმისთვის, რომ მარტოობა დავძლიოთ, არამედ გვინერგავს მამაცობას, რათა გადავლახოთ კლდენი და ღრენი, შევებრძოლოთ ყორანთა ჩხავილს და ქარიშხლის ღრიალს.

ბარათაშვილის „მერანში“ ჩვენ ვხედავთ იდეალური მიზნისათვის თავდადებულ, იმედით აღსავსე შეუპოვარი ადამიანის ლტოლვას, რაც ღაღადებს, რომ ეს ძიება უნაყოფოდ არ ჩაივლის:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება!
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

პოეტი შთაგვაგონებს, რომ ადამიანი და მგოსანი ამ ქვეყნად უმიზეზოდ არ არიან მოვლენილნი. უსაზღვროების მიღწევის წყურვილი განუყოფელია მოჭმედების წყურვილისაგან.

პოლიტიკური და ეროვნული შთაგონების თემები და ლექსები იმის მაჩვენებელია, რომ სამშობლოს მრავალმა უბედურებამ და 1832 წლის პოლიტიკურმა მარცხმა პოეტს განუკურნებელი ჭრილობა მიაყენა. „ბედი ქართლისას“ გრძელი დიალოგი ერთგვარი ორად დანაწილებული მონოლოგია, რომელშიც ბარათაშვილი, მსგავსად ახალგაზრდა ჰამლეტისა, სვამს კითხვას, რა უნდა გაკეთდეს ერის ყოფნისათვის? საქართველოს განადგურებისაგან გადარჩენად მოხუცმა მეფემ გადაწყვიტა მფარველობა ეთხოვა რუსეთისათვის, რომელთანაც ერთმორწმუნეობა აკავშირებდა. სხვა გამოსავალი არ იყო, მაგრამ რა მოუვა ხალხის თავისუფლებას? როგორი იქნება მისი მომავალი ბედი? პოემა ამ დილემას, ამ სულიერ ტკივილს გამოხატავს მასში მოცემული რეალიზმის წანამძღვრებით, რომლებსაც შემდგომ დიდი პოეტი და მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე განავითარებს. ის უამთა ვითარება, როდესაც ცხოვრობდა ბარათაშვილი, აგრეთვე საზოგადებრივი აზროვნების დონე, ვერ იძლეოდა იმის გათვალისწინების შესაძლებლობას, რაც მხოლოდ ათეული წლების შემდგომ გახდა შესაძლებელი — რომ ერების ბედის გადაწყვეტა დაყრდნობილია ხალხის ძლევამოსილებაზე, და პოეტი, რა თქმა უნდა, ვერ წარმოიდგენდა, რომ ცარიზმს თვით რუსეთის მშრომელი ხალხი დაამხობდა.

ბარათაშვილის პოეტური შემოქმედების დასაწყისშივე ჩანს მისი სურვილი თავი დააღწიოს აღმოსავლურს და არქაულ გავლენას, რომელიც ქართულ ლიტერატურაში არსებობდა და რომლის უყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი ბიძამისი პოეტი გრიგოლ ორბელიანი იყო. თუ ბარათაშვილის პირველ ლექსებში ჩვენ ვამჩნევთ სტილის ერთგვარ მანერულობას, ბიბლიური სახეებს, კლასიკურ პერიფრაზებს, რომლებიც პოეტს თავის წინაპრებთან აახლოებს, იგი ძალიან მალე აღწევს თავს ტრადიციულ ფორმებს, რათა დაუბრუნდეს სიმართლესა და ცხოვრებას, ბუნების სრულსა და თავისუფალ ასახვას. მას პირველს შეაქვს თავის ლექსებში ევროპული ლიტერატურის ტონი და მოტივები, თავის პოეზიაში ასახავს სევდასა და ამბოხებულ სულის ღელვას. ამის შემდეგ მისი ლექსების მუსიკა და რიტმი ჩქეფს ნაკადულის სილაღით, მის პოეზიას ეს აძლევს სისპეტაკესა და მომხიბვლელობას, რაც ესოდენ ძნელი შესაგრძნობია თარგმანის უნებური ვულგარიზების გამო.

ნიკოლოზ ბარათაშვილს დრო არ ეყო, რომ დიდი მოცულობის პოეტური მემკვიდრეობა დაეტოვებინა; გარდა ლექსებისა, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, მას დარჩა წერილები და რამდენიმე დაუმთავრებელი ლექსი. ეს შეიძლება მცირედ გვეჩვენოს, მაგრამ იგი, როგორც ძვირფასი საუნჯე, აიტაცა და შეიყვარა შთამომავლობამ. მისი ლექსები ყოველმა ქართველმა იცის ზეპირად და მისი პოეზია დაუშრეტელ მდინარედ გადაიქცა.

საბჭოთა ხალხი, რომელიც იცნობს ბორის პასტერნაკის მიერ რუსულ ენაზე შესანიშნავად თარგმნილ ბარათაშვილის ლექსებს, ქართველ პოეტს სამართლიანად პუშკინისა და ლერმონტოვის გვერდით აყენებს, შარავანდედით მოსილ იმ შემოქმედთა შორის, რომელთაც შუბლი ვარსკვლავით აქვთ გაბრწყინებული, ჰეშმარიტ პოეტთა შორის, რომლებიც ადამიანთა ცხოვრებას ნათელს ჰფენენ. ჰოლდერლინი ამბობს „თავიანთი წუნარი სამყოფელიდან ღმერთები ხშირად აგზავნიან დედამიწაზე რჩეულებს მცირე ხნით, რათა მათი წმინდა სახის წინაშე მოკვდავთა გულმა გაიხაროს და ცხოვრებით დატკბეს“.

საიუბილეო გამოცემები

კაცური კაცი იყო. უყვარდა, სძულდა, ოცნებობდა, იბრძოდა, ბედს არ ეპუებოდა. მერანზე ამხედრებული უკეთესი მომავლისაკენ მიისწრაფოდა. იღვწოდა, იწვოდა, სანთელივით იწვოდა, რომ ხალხის გული გაენათებინა. თავისი ქვეყნის ბედს „ქართლის ბედით“ სჭედდა. მტკვრის დუდუნში აქსოვდა კაცსა და საწუთროზე, სოფელზე ფიქრს, საკაცობრიო იდეებს.

ცოტა, ძალიან ცოტა იცოცხლა. განჯის მიწამ 28 წლის ასაკში მიიბარა. მაგრამ იცოცხლა იმდენი, რამდენიც უკვდავებისათვის იყო საჭირო. მოკვდა იმიტომ, რომ კვლავ ფენიქსივით მკვდრეთით აღმდგარიყო...

რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემებს ჯერ სტამბის საღებავი არ შეშრობოდათ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელიხელსაგოგმანო მარგალიტები ისევ საიუბილეო ლითონის პრკალებად ჩამოისხა და მთელი მსოფლიო ერთხელ კიდევ მოწმე გახდა მარად უჭკნობი ქართული პოეზიის დიდებული ზეიმისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა და გამომცემლობებმა ნამდვილად დიდი ხარკი გაიღეს დიდი მგოსნის წინაშე. მათ საიუბილეო დღეებში მკითხველებს მიაწოდეს მაღალმხატვრული გემოვნებით გაფორმებული წიგნები, რომლებშიც აისახა ბარათაშვილის შემოქმედება, ცხოვრება. მისი ჩანგის სიმები აყოერდა მოძმე რესპუბლიკებისა და უცხო ენებზე.

აი საიუბილეო წიგნები:

გამომცემლობა **„საბჭოთა საქართველოს“** მიერ გამოცემული **ნიკოლოზ ბარათაშვილის „თხზულებანი“**, რომელიც ჩასმულია ვერცხლისფრად მბრწყინავ ორნამენტითა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ფაქსიმილეთი დამშვენებულ შავ მუყაოს ყდაში. ეს ბარათაშვილის თხზულებათა სრული კრებულია. მასში შესულია ლექსები, პოემა „ბედი ქართლისა“, ლექსების ვარიანტები, რომლის ტექსტები დადგენილია პავლე ინგოროყვას მიერ. თან ერთვის გიორგი ლეონიძის ლექსთა კომენტარები და პავლე ინგოროყვას „ბარათაშვილის თხზულებათა ტექსტის ისტორია“. წიგნს წამძღვარებული აქვს სარედაქციო წინათქმა, რომელსაც მოსდევს პავლე ინგოროყვას ვრცელი ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“.

ფოტოალბომი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლის შემდგენელია სოლომონ ხუცოშვილი.

„ბარათაშვილის ავტოგრაფები“, რომელშიც მოთავსებულია ბარათაშვილის ოცდაჩვიდმეტივე ლექსისა და პოემა „ბედი ქართლისას“ ავტორისეული ხელნაწერები.

გიორგი ჯიბლაძის მონოგრაფია **„ბარათაშვილის პოეტური გენია“**, რომლის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: ეს წიგნი მონოგრაფიული გამოკვლევაა და თითქმის ყველაფერს შეიცავს, რაც ჩვენ 1935 წლიდან დღემდე დიდ ქართველ პოეტს — ნიკოლოზ ბარათაშვილს კრიტიკული ნარკვევების სახით მივუძღვენით“.

მონოგრაფიის გამოკვლევები „ბარათაშვილი და ლერმონტოვი“, „ბარათაშვილი და თანამედროვეობა“ ადრე იყო გამოქვეყნებული, ხოლო დანარჩენი **გამოკვლევები** — „ბარათაშვილი — დიდი ქართველი რომანტიკოსი“, „ცხოვრება ბარათაშვილისა“, „ბარათაშვილის პოეზიის ფილოსოფიური პრედიკატები“ და „ბარათაშვილის ლირიკული გმირი“ ავტორმა წიგნის მთლიანობისათვის ახლად დაწერა და მკითხველი პირველად ეცნობა.

იონა მეუნარგიას „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, რომელიც წარმოადგენს პირველ ვრცელ მონოგრაფიას დიდ ქართველ პოეტზე. იგი ჯერ 1893 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, შემდეგ კი დაერთო პოეტის თხზულებათა კრებულს 1922 წელს. გამოცემის ტექსტი მცირეოდენი შემოკლებით გადმობეჭდილია 1954 წელს გამოცემულ ი. მეუნარგიას წიგნიდან „ქართველი მწერლები“.

გამომცემლობა **„მერანმა“** რუსულ ენაზე გამოსცა **ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა კრებული**, რომელშიც შესულია პოეტის ლექსები, პოემა. მისი შემდგენლები არიან: ლ. კალანდაძე, მ. ზავერიანი, მთარგმნელები—ბ. პასტერნაკი, ნ. ტიხონოვი, პ. ანტოკოლსკი. მ. ლოზინსკი და სხვ...

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა ბ. პასტერნაკისეული თარგმანების **მინიატიურული კრებული**, რომელსაც დართული აქვს ლ. კალანდაძის წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და ლადო გუდიაშვილის **მიერ** შესრულებული მგოსნის პორტრეტი.

გამომცემლობა **„ნაკადულის“** მიერ მოხდენილად და გემოვნებით გამოცემული **ნიკოლოზ ბარათაშვილის „ლირიკა“**, რომელშიც შედის პოეტის ოცდაჩვიდმეტივე ლექსი.

მიხეილ მრევლიშვილის პიესა **„ბედი მგოსნისა“**, რომელიც რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში ორასჯერ იქნა წარმოდგენილი.

ოთარ ჭელიძის „ორი მარაბდელი“, რომელშიც აღწერილია დიდი ქართველი რომანტიკოსისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი არსენა ოძელაშვილის შეხვედრა.

ლადო ავალიანის ნოველა **„ყარიბი მგოსანი“**, რომელიც ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების ერთ საბედისწერო დღეს, როდესაც მამუკა ორბელიანის რჩევით პოეტი გადაწყვეტს თელავის მაგიერ განჯაში წასვლას.

გამომცემლობა **„განათლების“** მიერ შესანიშნავად გამოცემული **ნ. ბარათაშვილის** უბადლო პოეტური შედევრი **„მერანი“** ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე (კრებული). მთარგმნელები — მიხეილ ლოზინსკი (რუსულად), ევდოკია ლოსი (ბელორუსულად), მირტემირ ტარიმასი (უზბეკურად), იზტაი მამბეტოვი (ყაზახურად), ეივაზ ბორჩალი (აზერბაიჯანულად), ანტანას ვენცლოვა (ლიტვურად), ანატოლ კოდრუ (მოლდავურად), ოლგა ლიზოვსკი (ლატვიურად), ტურირ კოკამბერდიევი (ყირგიზულად), მუმინ კანატოვა (ტაჯიკურად), სოღომონ ტარონცი (სომხურად), კარიმ ყურბანპეისოვი (თურქმენულად), ვალერია ვილანდი (ესტონურად).

ნიკოლოზ ბარათაშვილის „ლექსები“ გერმანულ ენაზე, რომელთა მთარგმნელია ცნობილი გერმანელი პოეტი რაინერ კირში. იგი საგანგებო მოწვევით რამდენიმე თვეს იმყოფებოდა საქართველოში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „ლექსები“ რუმინულ ენაზე, რომლის მთარგმნელია ქართული კულტურის მეგობარი, პოეტი **ვიქტორ კერნბახი.**

გიორგი ნატროშვილის მონოგრაფია **„შემოთენება მთაწმინდაზე“**, რომელიც გამოცემულია ხუთ ენაზე — ქართულად, რუსულად, გერმანულად, ინგლისურად და ფრანგულად.

გამომცემლობა **„მეცნიერების“** მიერ გამოცემული ნ. ალანიას **„ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიბლიოგრაფია“.**


უკრაინის გამომცემლობა **„დნიპრომ“** გამოსცა ლამაზად გაფორმებული ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა კრებული, რომელსაც წამძღვარებული აქვს მ. ბაჟანისა და ი. კულიკის წერილები. მთარგმნელები — ი. კულიკი, მ. ბაჟანი, ი. კარსკი, დ. პალამარჩუკი, პ. გრაბოვსკი. „მერანი“ წარმოდგენილია ოთხი თარგმანით.

პარიზში **ფრანგულ ენაზე** პოლიგრაფიულად შესანიშნავად გამოცემული **ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა კრებული**, რომლის გარეკანზე გამოსახულია ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუში. გამოცემას დართული აქვს ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი, სერგი წულაძის წინასიტყვაობა, რომელიც ფრანგ მკითხველებს აცნობს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

წიგნში პარალელურად წარმოდგენილია **ნ.** ბარათაშვილის ყველა ლექსის და პოემის „ბედი ქართლისა“ ქართული და ფრანგული ტექსტები. ლირიკული ლექსები თარგმნეს პიერ გამარამ, ეჟენ გილვიკმა, მაქს პოლ ფუშემ, სერგი წულაძემ, „ბედი ქართლისას“ თარგმანი ეკუთვნის ჟაკ გოშერონს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა კრებულის ფრანგულ ენაზე გამოცემაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საფრანგეთის კომპარტიის გამომცემლობა „ედიტერ ფრანსუ რეიუნის“ დირექტორს მადლენ ბრონს, რომელიც საგანგებოდ იმყოფებოდა საქართველოში გამოცემისათვის საჭირო მასალების შესაკრებად. მან დიდი მონდომებით და ენერგიით მოჰკიდა ხელი საქმეს და ბრწყინვალედ დააგვირგვინა.


სასიქადულო მგოსნის საიუბილეო დღეებში **ასირიულ ენაზეც** აჟღერდა პოეტის უკვდავი ნაწარმოებები. ნიჭიერმა ასირიელმა პოეტმა **რაბი დავით ილიანმა ასირიულ** ენაზე თარგმნა „მერანი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ბუნებული ვარდზედ“, „ქნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“ და სხვ. ასირიელ პოეტს განზრახული აქვს ბარათაშვილის ნაწარმოებების მთლიანად თარგმნა.



თხზულებათა სრული კრებული, ქართულ ენაზე.



მინიატურული გამოცემა რუსულ ენაზე.



თხზულებანი გერმანულ ენაზე.



თხზულებანი რუმინულ ენაზე.



გავა წლები, კვლავ მოეწყობა ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილე. მისი თაყვანისმცემლების წიგნის თაროებს ახალ-ახალი საიუბილეო გამოცემები დაამშვენებენ.

ლ. ძეძამიძე.

[-20]

ფ. 39/90

დიდება ივერიისა

ბარათაშვილი გახდა წინამორბედად ჩვენი ახალი ცხოვრების განთიადისა და იქ, შორს სამშობლოდან, უცხო მხარეს, მზესავით ჩაესვენა, რომ დღეს აქ უფრო მეტის ძლიერებით აღმოგვრწყინებულიყო. ამას ვხედავთ და დღევანდელი ჩვენი მიგებება გლოვა და ზარი კი არ არის, ლიტანიობაა და მზე-შინა. დიაღ, არავის გეგონოთ აქ ეს ნამდვილი სამარე და კუბო ბარათაშვილისა. იმის კუბოა ყველა ქართველის გული... ეს ადგილი არის მხოლოდ ნიშანი, სადაც ამიერიდან უნდა დაესვენოს ჩვენი მნათობი, რომ მთელ საქართველოს სხივი ჰფინოს...

აკაკი წერეთელი.

◆

არ დაივიწყა სამშობლომ
შენი მის გედზე ტირილი,
მედგარი სულის კვეთება,
შავბედობაზედ ჩივილი,
დაუშრეტელი ნაღველი,
წყრომა და გულის ტკივილი.
შენი მერანი კვლავაც რბის,
მისი ნავალიც შთენილა,
უმადლოდ არ დაკარგულა,
თუ ოდეს ცრემლი დენილა.

ვაჟა ფშაველა.

◆

გულში ატეხილ ქარიშხლის ღელვამ
სიკვდილის წყვდიადს არ დაგანებმა,
გააფთრებული შენი მერანი
მსოფლიოს გზაზე მიეჭანება.

გიორგი ლეონიძე.

◆

ჩანგი გვიხმობს თუ გული ანკარა?
ხე შრიალებს თუ ქალი კენარი?
შენი სამშობლო მკვდრეთით
ამდგარა,
შვებით ჰიხვინებს შენი მერანი.

სიმონ ჩიქოვანი.

„სამშობლოს ხმის“ ინტერვიუ

ორი ქართველი ქალიშვილი უცხოეთიდან





სურათებზე: თამარ დრაგაძე და აკადემიკოსი გ. ახვლედიანი; ვენერა ხაბულიანი (ქვემო სურათზე მარჯვნივ) ქართველ მეგობრებთან ერთად მცხეთაში.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მოწვევით სექტემბრის პირველი რიცხვებიდან ჩვენში სტუმრად იმყოფებიან ახალგაზრდა თანამემამულენი — საფრანგეთის უმაღლესი განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი **ვენერა ხაბულიანი** და კენტერბერის უნივერსიტეტის სოციოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, მწერალი ქალი **თამარ დრაგაძე**. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა სტუმრებთან.

კორესპონდენტი: სად და ვისი დახმარებით შეისწავლეთ ქართული ენა?

ვენერა ხაბულიანი: მამაჩემის დახმარებით, თუმცა მყავდა სხვა მასწავლებლებიც — საფრანგეთში მცხოვრები თანამემამულენი. მე მამასთან ერთად ხშირად დავდიოდი მათს ოჯახებში და ყოველთვის დიდი გულისყურით ვუსმენდი ქართულ საუბარს. ადრე ვერ ვბედავდი, მაგრამ ახლა, როცა აუცილებელი შეიქნა ჩემთვის ქართულად ლაპარაკი, აღმოჩნდა, რომ არცთუ ცუდად ვფლობ მშობლიურ ენას. სამწუხაროდ, ჩვენს მომავალ თაობას საფრანგეთში ალბათ კიდევ უფრო გაუჭირდება მშობლიური ენის შესწავლა იმის გამო, რომ პარიზში საგრძნობლად მცირდება წმინდა ქართული ოჯახების რაოდენობა.

თამარ დრაგაძე: მე რამდენიმე უცხო ენა ვიცი, მათ შორის რუსულიც (რუსულ ენას ჩვენთან სკოლებშიც ასწავლიან), სამწუხაროდ, ქართული სუსტად ვიცი, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის. ჩემი წინაპრები დიდი ხნის წინათ წასულან საქართველოდან, ისე რომ თვითონაც აღარ ახსოვდათ მშობლიური ენა. გარდა ამისა, ჩვენს ოჯახს ძირითადად ისეთ ქვეყნებში უხდებოდა ცხოვრება, სადაც ჩვენს მეტი ქართველი არავინ იმყოფებოდა. რამდენიმე ქართული სიტყვა პარიზში, წულაძეების ოჯახში ვისწავლე, სადაც თითქმის ყოველდღიურად ჩავდიოდი ხოლმე არდადეგების დროს. ჩემი „მასწავლებელი“ იყო აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნიკო ყიასაშვილი, რომელმაც ქართული ენის სახელმძღვანელო და რამდენიმე ფირფიტა მაჩუქა.

ჩემს ცხოვრებაში არანაკლებ დიდსახსოვარი მოვლენა იყო ქართული ხალხური ციკვის დამსახურებული არტისტის ჩამოსვლა ლონდონში. არტისტს ხელმძღვანელებს ილიკო სუხიშვილსა და ნინო რამიშვილს ყოველთვის ჰქონდათ ჩემთვის შემონახული რამდენიმე ბილეთი (არტისტის ძალიან დიდი წარმატება ჰქონდა და ბილეთების შოვნა ძნელი საქმე იყო). მე თითქმის ყველა კონცერტს დავესწარი.

კორესპონდენტი: როგორია საბჭოთა კავშირში თქვენი ყოფნის პირველი დღეების შთაბეჭდილებანი?

ვენერა ხაბულიანი: საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისთანავე განვიცადე პირველი დიდი სიხარული: მოსკოვში, ბელორუსიის ვაგზალზე დამხვდა ჩემი ახლო ნათესავი ნანული ზამბახიძე, რომელსაც მანამდე მხოლოდ მიწერ-მოწერით ვიცნობდი. დავთვალიერეთ მოსკოვი. ქალაქში თავისი გრანდიოზულობით განუმეორებელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. განსაკუთრებით მომეწონა უნივერსიტეტის შენობა ლენინის მთაზე.

გულახდილად გითხრათ, საქართველოს სილამაზით გაგვირვებული არ დავრჩენილვარ, რადგან მოველოდი, რომ ის ასეთი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, მე ყოველ ღამით ვზივარ სასტუმრო „ივერიის“ აივანზე (სადაც ვცხოვრობ), დიდხანს გავყურებ მტკვრის ორივე მხარეს გადაშლილ თბილისს და მისი სილამაზით ჯერაც ვერ დავმტკბარვარ.

თბილისში ბევრია საინტერესო სანახავი. თბილისის უნივერსიტეტში და უცხო ენათა პედაგოგურ ინსტიტუტში დავესწარი ფრანგული და ინგლისური ენის გაკვეთილებს. ექსკურსიაზე ვიყავი კახეთში და ორჯონიკიძეში, ახლა კი დასავლეთ საქართველოში მივემგზავრები, სადაც ჩემი ნათესავების ოჯახში გავატარებ რამდენიმე დღეს და ზღვაზეც დავისვენებ.

თამარ დრაგაძე: საქართველოში ჩამოსვლა ჩემი ყველაზე დიდი ოცნება იყო. სულითა და გულით ვუხდი დიდ მადლობას უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას, რომელმაც პატივი დამდო და სტუმრად მომიწვია. მადლობა მინდა გადავუხადო დოცენტ ნიკო ყიასაშვილს და იმ ამხანაგებს, რომლებმაც გამიწიეს შუამდგომლობა, რომ საზოგადოებას სტუმრად მოვეპატიჟებინე. პირადად მე ალბათ რამდენიმე წლის თავაუღებელი მუშაობა დამჭირდებოდა, რომ ჩემი ეს სურვილი განმეხორციელებინა.

ძალიან გამეხარდა, როცა გაზეთ „სამშობლოს ხმაში“ ჩემი რომანის — „ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით“ — ზოგიერთი თავის თარგმანი და რეცენზიები ვიხილე. ალბათ არცერთ ქვეყანაში მწერალი და ხელოვანი ისე დიდად არ არის დაფასებული, როგორც საბჭოთა კავშირში. ეს განსაკუთრებით ვიგრძენი გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეს დღეებში, რომელშიც მე სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა. ეს იყო ნამდვილი სახალხო დღესასწაული, რომლის მსგავსს იშვიათად ნახავს კაცი ცხოვრებაში.

ჩემი ცხოვრების უმეტესი დღენი ლონდონში გავატარე, ჩემს სამშობლოდ ინგლისი ითვლება (ასე მაქვს პასპორტში ჩაწერილი), მაგრამ აი წარმოიდგინეთ, რომ რაიმე საქმის გამო დახმარებისათვის მივმართავ უცნობ ინგლისელს. ჩემი „უცნაური“ გარეგნობა ინგლისელ მხრებს იჩენს და უნდობლად შემომყურებს. მე ვგრძნობ, რომ მისთვის ვიღაც „სხვა“, უცხო ვარ და გული მწყდება, მაგრამ ამის გამო არასოდეს არ დამბადებია სურვილი გვარის გამოცვლისა. ასეთი შეცდომა ერთხელ მამაჩემმა ჩაიდინა და ჩვენ, ამით განაწყენებული შვილები, დავეწერეთ დედის გვარზე, რომელიც წარმოშობით აგრეთვე ქართველი იყო.

ბევრი ქვეყანა მომივლია, მაგრამ არსად არ მიგრძვნია თავი ისე თავისუფლად, ისე ბედნიერად, როგორც საქართველოში.

კორესპონდენტი: რას უსურვებდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს?

ვენერა ხაბულიანი: გაზეთ „სამშობლოს ხმის“ მკითხველები უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი არიან. მე მათ ყველას ვუსურვებ ისეთსავე ბედნიერებას, როგორსაც თვითონ ვგრძნობ — საკუთარი თვალით იხილონ საყვარელი საქართველო.

თამარ დრაგაძე: მეც საქართველოს ნახვა მიმაჩნია უცხოეთში მყოფ თანამემამულეთათვის ყველაზე დიდ ბედნიერებად, და ამასვე ვუსურვებ თქვენი გაზეთის მკითხველებს.



მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

22.2.90

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი ვისაუბრით

თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25.